ახალი განათლება

23 - 29 ივნისი

ფასი 1 ლარი 70 თეთრი

№24 (738) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

შშმ ბავშვებისთვის ახალი მომსახურებები იქმნება

გვერდი 2

აქტუალური თემა

ბულინგი – ბავშვური ოინის მიღმა დამალული ძალადობა

გვერდი 4

პედაგოგთა დასახმარებლად

რომელი წიგნები წავიკითხოთ არდადეგებზე

ავიმაღლოთ ცოდნა და დამოკიდებულება სამოქალაქო განათლების მიმართულებით

გვერდი 4

რატომ არის კითხვა მნიშვნელოვანი?

გვერდი 6

ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად

გვერდი 3

ბავშვთა უფლებები

შშმ ბავშვებისთვის ახალი მომსახურებები იქმნება

ლალი ჯელაძე

სახელმწიფო მზრუნველობაში მყოფ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვის ახალი მომსახურებები იქმნება. ალტერნატიული მომსახურებების განვითარებაზე ერთობლივად იზრუნებენ სახელმწიფო, საერთაშორისო ორგანიზაციები და ბიზნეს სექტორი.

2016 წლის ბოლოსთვის, თბილისში, მცირე საოჯახო ტიპის სახლი დაფუძნდება, რომელიც ადაპტირებული და სრულად მორგებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა საჭიროებებზე. ამ სახლში ის ბავშვები განთავსდებიან, რომლებიც ამჟამად სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ არიან და თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლში ცხოვრობენ. ახალი მომსახურების განვითარებაში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო და გაეროს ბავშვთა ფონდი ეხმარება. მომსახურების მიმწოდებელი კი „საქველმოქმედო ჰუმანიტარული ფონდი ბრეს (Breath) საქართველოა“.

ნუცუბიძის ჩვილ ბავშვთა სახლში, დღეს-დღეობით, 59 მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვი ცხოვრობს, სწორედ ამ პატარებისთვის გახდება შესაძლებელი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება იუნისეფისა და კომპანია M2-ის დახმარებით. ოჯახური ტიპის სახლში გადასვლის შემდეგ, გარემოს გაუმჯობესების გარდა, ჩვილ ბავშვთა სახლის ბინადარი პატარების განვითარებაზე ინდივიდუალურად იზრუნებენ, ისინი მიიღებენ ფსიქოლოგიურ და სოციალურ რეაბილიტაციას და განსაკუთრებულ მოვლა-პატრონობას.

განსაკუთრებული საჭიროების მქონე ადამიანებზე ზრუნვა და მათი ინტერესების დაცვა, როგორც დეველოპერული კომპანია M2-ის გენერალურმა დირექტორმა, **ირაკლი ბურდილაძემ** განაცხადა, მათთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია და სწორედ ამიტომ უერთდება ამ ინიციატივას და იღებს ვალდებულებას, დააფინანსოს შშმ ბავშვებისთვის განკუთვნილი მცირე საოჯახო ტიპის სახლი. კომპანია სრულად უზრუნველყოფს მშენებლობის ხარჯებს – საკმაოდ სოლიდურ თანხას ჩადებს.

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები მოსახლეობის ყველაზე დაუცველი ჯგუფია. მათთვის არ არის ხელმისაწვდომი სოციალური სერვისები, განათლება, ბევრი ჯერ კიდევ სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშაა და დიდი ზომის ბავშვთა სახლში ცხოვრობს. – აცხადებს **საშა გრაუმანი,** გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი საქართველოში, – *მივესალმებით ბიზნესსექტორის, კონკრეტულად კომპანია M2-ის მხარდაჭერას სპეციალიზებული მომსახურებების განვითარების საქმეში. გაეროს ბავშვთა ფონდი, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან ერთად, ეხმარება საქართველოს მთავრობას გაეროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციის განხორციელებასა და შეზღუდული შესაძლებლობების სოციალური მოდელის დამკვიდრებაში“.*

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და იუნისეფის მხარდაჭერით, 2015 წლიდან, ახორციელებს პროექტს „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა დაცვა“. პროექტი მიზნად ისახავს ღრმა შეზღუდული შესაძლებლობების ან ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვთათვის სპეციალიზებული საოჯახო ტიპის მომსახურებებს, ოჯახურ გარემოსთან მაქსიმალურად მიახლოებულ პირობებში ცხოვრებას და მათი ინდივიდუალური განვითარებისთვის საჭირო მომსახურებების მიწოდებას.

იუნისეფი საქართველოს მთავრობას ეხმარება სწორედ ასეთი მცირე საოჯახო ტიპის მომსახურების მოდელის, სტანდარტების შექმნაში, ასევე ვალდებულებას იღებს, რომ მოახდენს აღნიშნული დაწესებულების რეაბილიტაციასა და აღჭურვას. ამის გარდა, მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია პროფესიონალი კადრების გადამზადება, რომლებიც ბავშვებთან იმუშავებენ.

მეორე მცირე საოჯახო ტიპის სახლი 2017 წლის დასაწყისში გაიხსნება და როგორც გაეროს ბავშვთა ფონდში აცხადებენ, ორი ალტერნატიული, მცირე ზომის საოჯახო ტიპის მომსახურების განვითარება საშუალებას მისცემს მთავრობას, გააფართოოს ალტერნატიული მომსახურებები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვის და დაასრულოს მათზე ინსტიტუციური ზრუნვა.

ინფორმაცია

განათლების მეორე შესაძლებლობა

საქართველოს ყველა მოქალაქისთვის განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, გაეროს ბავშვთა ფონდისა და ჯანდაცვის სამინისტროს თანამშრომლობით, ხორციელდება პროგრამა „განათლების მიღების მეორე შესაძლებლობა სასწავლო პროცესის მიღმა დარჩენილი ბავშვებისთვის“.

პროგრამის მიზანია სხვადასხვა მიზეზით საგანმანათლებლო სივრცის მიღმა აღმოჩენილ ბავშვთა განათლების უფლების უზრუნველყოფა, სისტემური მიდგომებით ყველა ბავშვის ფორმალური განათლების სისტემაში ჩართვისა და მათი შესაძლებლობების მაქსიმალური განვითარების ხელშეწყობა.

მნიშვნელოვანია, რომ სასკოლო ასაკის ყველა ბავშვი, მიუხედავად მისი სოციალური თუ ეკონომიკური სტატუსისა, ჩართული იყოს ხარისხიან ფორმალურ საგანმანათლებლო სისტემაში.

პროგრამის ფარგლებში გაწეულმა მუშაობამ გამოავლინა მოწყვლადი მიზნობრივი ბავშვთა ჯგუფების საგანმანათლებლო საჭიროებები, მათთვის ფორმალური განათლების ხელმისაწვდომობის, მზაობის და ხარისხის უზრუნველსაყოფად. სკოლის დღევანდელი შესაძლებლობების, ფორმალური განათლების მიღმა დარჩენილი ბავშვებისთვის დამახასიათებელი პრობლემების სპეციფიკურობის გათვალისწინებით, არსებობს ბარიერები მათი ფორმალურ განათლებაში ინტეგრაციისთვის, განსაკუთრებით ისეთი ჯგუფისთვის, როგორიც ე.წ. ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები არიან (ამ უკანასკნელთა დიდი ნაწილი მიგრანტია მეზობელი სახელმწიფოებიდან). აუცილებელია სპეციალური საგანმანათლებლო სერვისების შემუშავება. ეს გულისხმობს სამიზნე ჯგუფებისთვის საგანმანათლებლო საჭიროებების შესაბამისი რეკომენდებული სერვისების მომზადებას, რომელიც დაეხმარება მათ და მისცემს მეორე შანსს – ჩაერთონ განათლების პროცესში და დაასრულონ ის. პირველ რიგში, საჭიროა მოზარდებს ჩამოუყალიბდეთ სწავლის მოტივაცია. ამისთვის დაგეგმილია მუშაობა აკადემიური უნარების განვითარებისა და სოციალური ადაპტაციის მიმართულებით, ამ ჯგუფის ბავშვთა ინტერესების განვითარებისა და დაკმაყოფილებისთვის, მათი კულტურისა და ტრადიციების გათვალისწინებით.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს პროგრამის ინსტიტუციური გაძლიერება, რომლის ფარგლებშიც სამუშაო შეხვედრა გაიმართა, სადაც, სხვადასხვა სოციალური მიზეზის გამო, ფორმალური განათლების მიღმა დარჩენილი პირების სასწავლო პროცესში ჩართვის მექანიზმებზე იმსჯელეს.

ლია გიგაური, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე: *„განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, გაეროს ბავშვთა ფონდთან და ჯანდაცვის სამინისტროსთან ერთობლივი მუშაობით ამოქმედდა პროგრამა „განათლების მეორე შანსი“, რომელიც, ამ ეტაპზე, ინსტიტუციურ გაძლიერებას საჭიროებს – იგულისხმება იმ ბაშვების იდენტიფიკაციის პროგრამების დახვეწა , რომლებიც განათლების გარშე არიან დარჩენილები ან ადრე მიატოვეს განათლება. ასევე, ზრუნვის საგანი იქნება დღის ცენტრებში მყოფი ბავშვების განათლების კომპონენტის განვითარება, მათთვის მასწავლებლების მომზადება და შესაბამისი მეთოდოლოგიის შემუშავება. დიდი მნიშვნელობა აქვს ტრანზაციის პერიოდს დღის ცენტრებიდან სკოლაში, ასევე სკოლის დონეზე სპეციალური პროგრამების მომზადებას და, რაც მთავარია, სიახლე გახლავთ ის, რომ ჩვენ უკვე დავიწყეთ ახალი კონცეფციის დამუშავება „მობილური სკოლების“ შესახებ.*

მოგეხსენებათ, რომ გარკვეული ბენეფიციარები უარს ამბობენ სკოლაში შემოსვლაზე და სწავლის გაგრძელებაზე, ესენი შეიძლება იყვნენ ბოშა ბავშვების ან მეცხვარე ბავშვების ჯგუფები, რომელთაც სხვა ტიპის საგანმანათლებლო კომპონენტები სჭირდებათ. სწორედ „მობილური სკოლების“ განვითარების მიმართულებით გვიდგას გვერდში გაეროს ბავშვთა ფონდი. იმედი გვაქვს, რომ გეგმა, რომელსაც დღეს შევიმუშავებთ, წლის ბოლოსთვის, იმპლემენტაციისთვის იქნება მზად.“

იუნისეფის რეგიონული კონსულტანტი **ლეტიცია ანტონოვიჩი** მიიჩნევს, რომ: *„ეს მისია იმ თანამშრომლობის საფუძველზე შედგა, რომელიც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და გაეროს ბავშვთა ფონდს შორის არსებობს. მთავარი მიზანია „ვიმსჯელოთ განათლების მეორე შესაძლებლობაზე“ იმ ბავშვებისთვის, რომლებიც ზოგადი განათლების მიღმა არიან დარჩენილები. ასევე, ბაშვებისთვის, რომლებიც დღის სკოლებში სწავლობენ, მაგრამ სკოლის მიტოვების მაღალი რისკია. პირველ რიგში, უნდა განისაზღვროს: ვინ არის რისკის ჯგუფის მქონე ბავშვი, რომელიც განათლების მიღმა დარჩება; რა არის ის პროგრამები, რაც ბავშვებს უნდა მივაწოდოთ დღის ცენტრებში; რა საშუალებები არსებობს, რათა ბავშვებმა დღის ცენტრიდან უმტკივნეულო პროცესები განვლონ და ჩაირიცხონ სკოლებში; რა სასკოლო საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროგრამები უნდა შესთავაზოს სკოლამ ჩარიცხულ ბავშვებს, რომლებსაც აქამდე სკოლაში არ უვლიათ. ეს თანამშრომლობა, ასევე, გულისხმობს ალტერნატიული პროგრამების შექმნას იმ მოზარდებისთვის, რომელთაც არ უვლიათ სკოლაში, მაგრამ მათთვის მნიშვნელოვანია სკოლის დამთავრება და ატესტატის მიღება, რათა შემდეგ შეძლონ სწავლის გაგრძელება პროფესიულ სასწავლებლებში.“*

ინფორმაცია

წარმატებული ქვეყნის გამოცდილება

ინკლუზიური განათლება ჩეხეთში

ჩეხეთის რესპუბლიკაში სამუშაო ვიზიტით მყოფი მანდატურის სამსახურთან არსებული ფსიქოლოგიური ცენტრის წარმომადგენლები, ბევრ წარმატებულ პროექტთან ერთად, ჩეხი კოლეგების ინკლუზიური განათლების მიმართ განსაკუთრებულ მიდგომებსა და მიღწეულ შედეგებსაც გაეცნენ, საუკეთესო გამოცდილების გაზიარების მიზნით, ჩეხეთის კონსერვატორიასთან არსებული სპეციალიზებული სამუსიკო სკოლა და სკოლა-პანსიონი დაათვალიერეს.

ჩეხეთის კონსერვატორიასთან არსებულ სამუსიკო სკოლაში, რომელიც განკუთვნილია უსინათლო და სუსტადმხედველი მოზარდებისა და ახალგაზრდებისთვის, სურვილის შემთხვევაში, სწავლის შესაძლებლობა ნებისმიერ, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების არმქონე ახალგაზრდასაც შეუძლია. განსაკუთრებულია ასეთი მიდგომა და მეთოდები, რაც ამ სასწავლებელშია დანერგილი. აღსანიშნავია აგრეთვე ის ფაქტი, რომ პედაგოგთა ნაწილი თავად უსინათლო ან სუსტადმხედველია. აქ მოსწავლეები, სხვადასხვა მუსიკალურ საკრავზე დაკვრასთან ერთად, ინსტრუმენტის აწყობასაც სწავლობენ და პროფესიასაც იძენენ.

ქართული დელეგაციის წევრებმა სპეციალიზებული სკოლა-პანსიონიც დაათვალიერეს და იმ მიდგომებსა და ინსტრუმენტებს გაეცნენ, რასაც სპეცმასწავლებლები და ფსიქოლოგები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობისას იყენებენ.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოზარდები ჩეხეთის ნებისმიერ სასწავლო დაწესებულებაში საკონსულტაციო დიაგნოსტიკური ცენტრის რეკომენდაციით ხვდებიან, რომელიც ასამდეა მთელ ჩეხეთში.

მანდატურის სამსახურთან არსებული ფსიქოლოგიური ცენტრის ხელმძღვანელის **ლევან ზარდალიშვილის** განცხადებით, ჩეხეთის საუკეთესო გამოცდილების გაზიარება მნიშვნელოვანი იყო და იგი აუცილებლად აისახება ქართველი კოლეგების საქმიანობაზე: *„ძალიან საინტერესო სკოლა ვნახეთ, რომელსაც 105 წლის ტრადიცია აქვს. ეს არის მუსიკალური სასწავლებელი უსინათლო ბავშვებისთვის. ამ სასწავლებელში, რომელსაც კონსერვატორიას ეძახიან, ძირითადად, უსინათლო ბავშვები სწავლობენ და ძალიან ბევრი პროფესორ-მასწავლებელიც, ასევე, უსინათლოა. მუსიკის სწავლებასთან ერთად, სწავლების კიდევ ერთი, ძალიან საინტერესო, ფორმა აქვთ – ასწავლიან მუსიკალური ინსტრუმენტების შეკეთებასა და აწყობას.*

აღსანიშნავია ის მოტივაცია, რომელიც ჩვენ ამ ბავშვებში დავინახეთ, ასევე, მასწავლებლების მოტივაცია, ეს ბავშვები აღზარდონ ისე, რომ მათ შეძლონ ამ ცოდნის გამოყენება მომავალში“.

საუკეთესო მოდელის შესწავლის მიზნით

ბაზარზე ორიენტირებული საგანმანათლებლო სისტემის განვითარების მიზნით, განათლების რეფორმის ფარგლებში, საქართველოს საჯარო სკოლებში კარიერის დაგეგმვისა და პროფორიენტაციის საპილოტე კურსი დაინერგა. პროგრამის განვითარებისა და საუკეთესო მოდელის შესწავლის მიზნით, მანდატურის სამსახურთან არსებული ფსიქოლოგიური ცენტრის ხელმძღვანელი ლევან ზარდალიშვილი, ცენტრის ფსიქოლოგები და კარიერის დაგეგმვის გუნდის წარმომადგენლები, ჩეხეთის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიწვევით, სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, მათ გამოცდილებას გაეცნენ. ჩეხეთში ეს პროგრამა დიდი ხანია მიმდინარეობს, გაიარა განვითარების სხვადასხვა ეტაპი და დღეს, ერთ-ერთ წარმატებულ მოდელად ითვლება.

გაიმართა რამდენიმე მნიშვნელოვანი შეხვედრა, მათ შორის ჩეხეთის რესპუბლიკის განათლების, ახალგაზრდობისა და სპორტის სამინისტროში, სადაც სამინისტროს ხელმძღვანელმა პირებმა ვრცელი პრეზენტაციები გამართეს ჩეხეთის განათლების სისტემისა და იმ ახალი მიდგომების თაობაზე, რომელიც სწავლის ხელმისაწვდომობას, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებასა და შედეგზე ორიენტირებულ სწავლა/სწავლებას უზრუნველყოფს.

პრაღაში ქართული დელეგაციის წევრები სკოლებში კარიერის დაგეგმვისა და პროფორიენტაციის პრაქტიკოს პედაგოგებს შეხვდნენ და კურსის წარმატებით განხორციელების მიმართულებით ტრენინგიც გაიარეს.

მიღებული ინფორმაციის განხილვის შემდეგ, ქართული დელეგაციის წევრები შესაბამის რეკომენდაციებს შეიმუშავებენ და შემდგომ საქმიანობაში გამოიყენებენ. წარმატებული ქვეყნის გამოცდილების გაზიარება და თანამედროვე მოთხოვნებზე მორგება აუცილებელია განათლების სისტემის განვითარებისთვის.

ლევან ზარდალიშვილი, საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახურის უფროსის მოადგილე: *„ვისაუბრეთ ისეთ საკითხებზე, როგორიც არის სასკოლო ფსიქოლოგია, ასევე, როგორია ოფიციალური ფსიქოლოგიური ცენტრები ჩეხეთში, რომლის მსგავსი ჩვენც გვაქვს, მაგრამ მათი სისტემა განსხვავდება და ამ მხრივ ჩვენთვის საინტერესო იყო მათი გამოცდილება. ვისაუბრეთ პედაგოგების შემდგომ განვითარებასა და კვალიფიკაციაზე, ამ კვალიფიკაციის შეფასების სისტემებზე. ვიმსჯელეთ სამინისტროს როლზე და, ზოგადად, როგორც დაწყებითი, ასევე საშუალო და უმაღლესი განათლების საკითხებზე. საინტერესოა ისიც, რომ სკოლამდელი განათლება და საბავშვო ბაღები აქ განათლების სამინისტროს ეკუთვნის და ერთ მთლიან სისტემაშია ჩასმული. ამდენად, მათ შეუძლიათ ეს პროგრამები და მთლიანად განათლების სფერო, სტრატეგიულად, თავიდან ბოლომდე დაგეგმონ“.*

თეა ტყემალაძე, საგანმანათლებლო დანესებულებების მანდატურის სამსახურის პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სამმართველოს კოორდინატორი: *„ძალიან ბევრი საინტერესო შეხვედრა გვქონდა ჩეხეთის განათლების სამინისტროში. ჩვენთვის სასარგებლო ინფორმაცია მივიღეთ მოზარდების სარისკო ქცევის პრევენციასთან და ფსიქოლოგიურ მომსახურებასთან დაკავშირებით, რასაც, ზოგადად, ჩეხეთის რესპუბლიკაში, სასკოლო ასაკის ბავშვებთან და პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მიმართულებით ეწევიან. გავეცანით, როგორ მუშაობს ჩეხეთის რესპუბლიკაში ეს სისტემა“.*

ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად

პროგრამის „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ შემაჯამებელი ღონისძიება გაიმართა. ღონისძიების ფარგლებში, ინგლისურ, ფრანგულ და ჩინურენოვან მოხალისე მასწავლებლებს პროგრამაში მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატები გადაეცათ.

ღონისძიებაში, ასევე, მონაწილეობდნენ პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული ესეების კონკურსებში გამარჯვებული მოსწავლეები, ადგილობრივი უცხოური ენის პედაგოგები და სკოლის დირექტორები.

პროგრამის „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან“ ერთად ფარგლებში, საქართველოს, ყოველწლიურად, სტუმრობს უცხოელნოვან მოხალისე მასწავლებელთა ჯგუფი. მოხალისეები მასპინძელ ოჯახებში ცხოვრობენ და დასაქმებული არიან საქართველოს საჯარო სკოლებში, სადაც, უცხოური ენის ადგილობრივ მასწავლებლებთან და თემის წარმომადგენლებთან თანამშრომლობით, აქტიურად არიან ჩართული სასკოლო და სათემო ცხოვრებაში. უცხოელ კოლეგებთან ერთობლივი მუშაობის პროცესში კვალიფიკაციას იმაღლებენ ადგილობრივი უცხოური ენის პედაგოგები, ასევე, ეცნობიან და ნერგავენ ენის სწავლების თანამედროვე მეთოდებს.

აღსანიშნავია, რომ 2012 წლიდან პროგრამის არეალი გაფართოვდა და, ინგლისურ ენასთან ერთად, ჩინური ენის სწავლებაც ხორციელდება. 2013 წლიდან, პროგრამის ფარგლებში, შემუშავდა შერჩევის ახალი კრიტერიუმები, რომელშიც ერთ-ერთი მთავარია – აპლიკანტისთვის ინგლისური/ფრანგული/გერმანული იყოს მშობლიური ენა (სწავლების ენის მიხედვით) და განათლებით იყოს ბაკალავრიატის დამამთავრებელი კურსის სტუდენტი ან ბაკალავრის ხარისხის მქონე შემდეგი მიმართულებებით: პედაგოგიკა, დიდაქტიკა, ლინგვისტიკა, უცხოური ენების სწავლების მეთოდოლოგია ან სხვა მომიჯნავე სპეციალობები; ან ფლობდეს ბაკალავრის ხარისხს ნებისმიერ დისციპლინაში და, ამასთანავე, ჰქონდეს სწავლების გამოცდილება; ასევე – მაღალი მოტივაცია; ფრანგული და გერმანული ენების მოხალისეობის მსურველი კანდიდატი უნდა ფლობდეს ინგლისურ ენას, მინიმუმ, B1 დონეზე და სხვ.

2014 წლიდან, პროგრამის მონაწილეებთან ფორმდება ხელშეკრულება ერთი აკადემიური წლით. ამავე წლიდან, პროგრამის ფარგლებში, ტრენინგები მოხალისე და ადგილობრივი მასწავლებლებისთვის ერთად ტარდება.

2015 წელს, ადგილობრივი მასწავლებლებისთვის ჩატარებული პრეტესტის ანალიზის შედეგად, გამოვლინდა მათი საჭიროებები კონკრეტული მიმართულებით და მათზე დაყრდნობით იქმნება ახალი ტრენინგ მოდული და სხვ. 2015 წლის სექტემბრიდან, საპილოტე რეჟიმში, პროგრამაში მონაწილეობის შესაძლებლობა მიეცა გერმანულენოვან და ფრანგულენოვან მოხალისე მასწავლებლებს.

ამჟამად პროგრამაში ჩართულია 24 ინგლისურენოვანი, 1 ფრანგულენოვანი და 16 ჩინურენოვანი მოხალისე მასწავლებელი. მომავალი სასწავლო წლისთვის, ცენტრში, უკვე მიმდინარეობს მოხალისეთა ახალი ნაკადის შერჩევა.

პედაგოგთა დასახმარებლად

მარინე დემეტრაშვილი

სამოქალაქო განათლება

რომელი წიგნები წავიკითხოთ არდადეგებზე, რათა ავიმაღლოთ ცოდნა და დამოკიდებულება სამოქალაქო განათლების მიმართულებით

ვურჩიოთ ჩვენს მოსწავლეებს (IX-X კლასების)

1. **„მე ვარ მალალა“** – გოგო, რომელიც სწავლის უფლებებისთვის იბრძოდა, თალიბანმა კი მისი მოკვლა სცადა.

14 წლის პაკისტანელმა გოგონამ ღიად გაილაშქრა თალიბების უმკაცრესი წესების წინააღმდეგ, ქალთა განათლების უფლების დასაცავად. მინგორაში, სკოლიდან შინისაკენ მიმავალ გზაზე, მალალას შეიარაღებული თალიბი დაესხა თავს და რამდენჯერმე ესროლა. მძიმედ დაჭრილ გოგონას მთელმა მსოფლიომ გამოუცხადა სოლიდარობა. „მე ვარ მალალა“ ავტობიოგრაფიაა, რომელშიც დიდი ყურადღება ეთმობა პაკისტანის ისტორიას, რიგითი პაკისტანელის ცხოვრებას თალიბანის მმართველობის დროს. დღეს, მთელ ოჯახთან ერთად, მალალა ინგლისში, ბირმინგჰემში ცხოვრობს და სამშობლოში დაბრუნებაზე ოცნებობს. თუმცა, ეს მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როდესაც პაკისტანში ქალებს უსაფრთხოდ ცხოვრება შეეძლებათ. მალალა იუსაფზაი, 2014 წელს, მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის ყველაზე ახალგაზრდა ლაურეატი გახდა.

„ორი შესაძლებლობა მქონდა: ჩუმად ვყოფილიყავი და დავლოდებოდი, როდის მომკლავდნენ, ან მეთქვა სათქმელი და ისე მოვმკვდარიყავი. მე მეორე ვარიანტი ავირჩიე – გადავწყვიტე მელაპარაკა“. – წერს იგი.

2. **„ჩერნობილის ლოცვა“ – სვეტლანა ალექსიევიჩი**. ბელარუსი რუსულენოვანი მწერალი ის ავტორია, რომელსაც თარგმნიან და ინტერესით კითხულობენ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. დაჯილდოებულია მშვიდობის პრემიით. მწერალი საბჭოთა (და პოსტსაბჭოთა) მნიშვნელოვან ამბებს ზეპირი ისტორიის მეთოდით აღწერს. *„ჩერნობილის შემდეგ სხვა სამყაროში ვცხოვრობთ“*, – ამბობს ავტორი. ალექსიევიჩი, წლების განმავლობაში, დაეძებდა და იწერდა იმ ადამიანთა ისტორიებს, ვისაც პირდაპირ შეეხო გასული საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე დიდი კატასტროფა (ბოლო ნობელის პრემია აიღო ლიტერატურის დარგში).

3. **კატო მიქელაძე – ქართული ფემინიზმის უცნობი ისტორიები**. კატო მიქელაძე იყო პირველი ფემინისტი ქალი საქართველოში. ის იყო რედაქტორი ყოველკვირეული საპოლიტიკურო და სალიტერატურო გაზეთის „ხმა ქართველი ქალისა“, რომლის პირველი ნომერი 1917 წლის 5 აპრილს გამოიცა. გაზეთის გამომცემელი ქუთაისის ქალთა კლუბი იყო. გაზეთი დეკლარირებულად ფემინისტური იყო. პირველივე ნომრიდან „ხმა ქართველი ქალისა“ ქალთა ემანსიპაციის ძირითად საშუალებად გაერთიანებას სახავდა, ქალთა კავშირების, წრეების, კლუბებისა თუ სხვა საშუალებებით. იბეჭდებოდა, აგრეთვე, მხატვრული ტექსტები – მოთხრობები და ლექსები, რომლებიც ასევე ფემინისტური იყო თავისი შინაარსით და ასახავდა ქალთა მდგომარეობას. გაზეთთან თანამშრომლობდნენ ქართველი მწერალი ქალები: საფო მგელაძე, მარიამ გარიყული, დომენიკა ერისთავი, ეკატერინე გაბაშვილი.

4. **ბიბი აიშა** (ავღანელი 19 წლის გოგო) წერდა ქალთა უფლებებზე და მსოფლიოს ყურადღება მიიქცია. ის მშობლებმა ძალით გაათხოვეს და როდესაც გამოიქცა ქმრის ოჯახიდან, დაედევნენ და ცხვირი და ყურები მოაჭრეს და დააგდეს ტყეში. საბედნიეროდ, გოგონა გადარჩა. ამჟამად აშშ-ში ცხოვრობს და ქალთა უფლებებისათვის იბრძვის.

5. **„ნუ მოკლავ ჯაფარას“ – ჰარპერ ლი**. ცნობილი მწერალი ალაბამას შტატიდან მოგვითხრობს დიდი დეპრესიის პერიოდში, ალაბამას შტატში განვითარებულ მოვლენებს. მისი მამა უფლებადამცველი იყო (ადვოკატი). იმ პერიოდში ფერადკანიანთა დაცვა აგურის კედლის თავით მტვრევას ჰგავდა. მიუხედავად ამისა, ის მაინც იცავდა ფერადკანიანთა ინტერესებს. ასეთ ამერიკელებს „თეთრ ზვიგენებსაც“ კი უწოდებდნენ. სამწუხაროდ, თვითონ ფერადკანიანები გამოფხიზლებული არ იყვნენ და თავიანთი უფლებების დაცვას ვერ ახერხებდნენ. ამიტომ შედარებულები არიან ჯაფარასთან – უსარგებლო, უწყინარ ჩიტთან, რომელიც თავისთვის სტვენს და არავის არ ვნებს. მწერალი ამბობს – „ნუ მოკლავ ჯაფარას“, დაე იყოს და უსტვინოს. ადამიანი, რომელსაც თავისი უფლებების დაცვა არ შეუძლია, სწორედაც, ამ უსარგებლო ჩიტს ჰგავს.

6. **„მისის დოლოვეი“** და **„ჩაკეტილი ოთახი“ ვირჯინია ვულფის**, ასევე, ძალიან საინტერესო ნაწარმოებებია. იგი წერს: *„ქალებმა ბრაზი უნდა გადალახონ“*. რამდენად პროდუქტიულია ბრაზის გადალახვა? ვირჯინია ფიქრობს, რომ პროდუქტიულია. ვფიქრობ, ბრაზის გადალახვაში აქ პირადი წყენა იგულისხმება, მაგრამ თუ ზოგადად ქალთა პრობლემებს ეხება, მგონი, ჯობია გავბრაზდეთ.

7. **„მხევლის წიგნი“ – მარგარეტ ეტვუდიც** ქალთა საზოგადოების პრობლემებზე წერს. რომანი ფემინისტური ანტიუტოპიაა, რომელიც აფრთხილებს მკითხველს: თუ თვალს დავხუჭავთ ძალადობაზე, თუ ჩავთვლით, რომ ახალ ამბებში ნანახი და მოსმენილი უბედურებები ჩვენ არ გვეხება, ერთ დღესაც, გავიღვიძებთ ძალადობით სავსე სამყაროში, სადაც უკვე არავინ იქნება ისეთი, ვისაც ჩვენი მოწონება-არმოწონება ააღელვებს.

8. **„რა არის თავისუფლება“** – ეს ოთხტომეული გამოცემულია naec-ის მიერ. წიგნებში შესულია როგორც ქართველი, ასევე უცხოელი მწერლების ძალიან საინტერესო მხატვრული ტექსტები და ასევე პუბლიცისტიკა.

აქტუალური თემა

ბულინგი – ბავშვური ოინის მიღმა დამალული ძალადობა

სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინი „ბულინგი“ ნიშნავს ფსიქოლოგიური ან ფიზიკური ძალადობის, დროში განფენილ ტერორს, რომელიც ერთი ბავშვის ან ჯგუფის მიერ ხორციელდება სხვა მოზარდზე. ბულინგი გულისხმობს დაშინებას, ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ დევნას იმ მიზნით, რომ სხვა ადამიანში შიში და მორჩილება გამოიწვიო. ადრე ბულინგი მხოლოდ ყოფითი ცნება იყო, მაგრამ ბოლო ოცწლეულის განმავლობაში სოციალურ-ფსიქოლოგიური ტერმინი გახდა, რომლის უკან სხვადასხვა სახის პრობლემა დგას. ხშირად შეიძლება გვესმოდეს, რომ თანატოლთა მიმართ ბავშვის აგრესიული ქცევა ბუნებრივი გამოხატულებაა. უფროსი ადამიანების წრეშიც არიან მმართველები და მორჩილები. ამიტომ, სხვაზე ზეწოლა, დომინანტობა ადამიანური განვითარების თანმდევია. ბავშვები საკმაოდ მარტივად, მოდელირებისა და დაკვირვების გზით, ითვისებენ იმ ქცევებს, რომლებსაც მათ ირგვლივ უფროსები ახორციელებენ. შესაბამისად, საზოგადოებაში, სადაც სხვაზე დომინანტობა უფროსთა ქცევის წარმმართველია, ბავშვებიც ანალოგიურად მოქმედებენ. საკმაოდ ხშირად, ბავშვი, რომელიც თავად არის ძალადობის მსხვერპლი და მის მიმართ თუნდაც მშობლები იყენებენ ძალადობრივ მეთოდებს, იმავეს იმეორებს სხვა სიტუაციაში. აგრესიულ ბავშვებს „ჩხუბისთავებს“ უწოდებენ და არ ითვალისწინებენ, თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ბავშვის უბრალო „გართობას“.

ბულინგი სოციალური მოვლენაა და მისი განხორციელების საუკეთესო ასპარეზი სკოლაა. ქართულ საზოგადოებაში ჯერ კიდევ არ არის იმის პირობები, რომ თითოეულ ბავშვს სწავლისა თუ ცხოვრების თანაბარი პირობები ჰქონდეს. ეკონომიკური მდგომარეობა, სოციალური პრობლემები თუ სხვა მრავალი ფაქტორი ქმნის განსხვავებას ბავშვებს შორის. შესაძლოა, ამ მინიმალურმა განსხვავებებმაც კი გამოიწვიოს, რომ მოზარდი გახდეს მოძალადე ან მსხვერპლი. ბავშვები, რომლებიც თანატოლებისგან განსხვავდებიან ეროვნების, ფსიქიკური ნაკლის, სოციალური სტატუსისა თუ ეკონომიკური მდგომარეობის გამო, ავტომატურად, ბულინგის მსხვერპლთა რისკ-ჯგუფებში ხვდებიან. საინტერესოა, რა მოტივი აქვს ბულინგს. ეს შეიძლება იყოს შურისძიების სურვილი, კონკურენცია, მიუღებლობა, სამართლიანობის აღდგენა ან უბრალო აკვიატება. შესაძლოა, ბავშვები ავლენენ აგრესიას იმიტომ, რომ სურთ მიიქციონ ყურადღება, არ შეუძლიათ მეგობრობა ან, უბრალოდ, მოწყენილები არიან და ამ გზით „ერთობიან“, არ აქვთ დანაშაულის გრძნობა და სხვ. მნიშვნელოვანია, რომ დასაწყისშივე მოხდეს მოტივის იდენტიფიცირება და ადრეული ინტერვენციით მოსალოდნელი საფრთხის მინიმუმამდე შემცირება.

რთულია განვსაზღვროთ, ვინ შეიძლება იყოს ბულინგის მსხვერპლი ან აგრესორი. ძნელია იმის დადგენა, თუ რომელ მხარეს აღმოჩნდება კონკრეტული ბავშვი. მიუხედავად ამ სირთულისა, ფსიქოლოგები გამოყოფენ ძალადობის ინიციატორისა და მსხვერპლის ზოგიერთ მახასიათებელსა და ქცევის სტილს.

მსხვერპლი ბავშვი ცდილობს, თანატოლებისგან შეუმჩნეველი დარჩეს. საფრთხის გაჩენის დროს დაუცველია, ტირის. შესვენებებს უმეტესად კლასში ატარებს, გაურბის სხვა ბავშვებთან ურთიერთობას. გარდა სოციალურისა ბავშვს შეიძლება გაუჩნდეს სამედიცინო ხასიათის პრობლემებიც: ძილის დარღვევა, თავის ტკივილი, საჭმლის მიუღებლობა, ნერვული სისტემის დარღვევები და სხვ. მსხვერპლი ბავშვის პორტრეტის აღწერისას აღსანიშნავია, რომ ისინი სხვა ბავშვებისგან განსხვავდებიან ისეთი მახასიათებლებით, როგორიცაა: სიმაღლე, სიმსუქნე, ინტელექტუალური შესაძლებლობები თუ სოციალური სტატუსი.

რაც შეეხება აგრესორ ბავშვს, ის გამუდმებით ცდილობს საკუთარი უპირატესობის წარმოჩენას. სურს, დომინანტად და ძლიერად გამოიყურებოდეს. შესაძლოა ეუხეშებოდეს მასწავლებლებს, მშობლებს, უპირატესობას ანიჭებდეს იმ საბავშვო თამაშებს, სადაც ძალის, სისასტიკის წარმოჩენას შეძლებს. აგრესორ ბავშვებს, როგორც წესი, საკმაოდ მაღალი თვითშეფასება აქვთ და თანატოლთა გარემოში უპირატესობის დამტკიცებას ცდილობენ. შეიძლება პერიოდულად უმიზეზოდაც გამოავლინონ რისხვა. აგრესორ ბავშვს თან სდევს იმის შიში, რომ თავად არ გახდეს დამცირების ობიექტი.

ბულინგი გვხვდება როგორც ბიჭებში, ასევე გოგონებში, თუმცა ისინი ბულინგის სხვადასხვა ფორმას იყენებენ. ბიჭები ხშირად მიმართავენ ფიზიკურ ბულინგს (პანღურის ამორტყმა, ხელის კვრა და ა.შ.), გოგონები კი – ზეწოლის ირიბ ფორმებს (ჭორების გავრცელება, ურთიერთობის შეწყვეტა და ა.შ.).

სკოლაში ბულინგის მსხვერპლი ბავშვი შეიძლება ხანგრძლივი დროის განმავლობაში ვერ განიკურნოს არა მარტო ფიზიკური დაზიანებებისაგან, არამედ მუდმივად განიცდიდეს შფოთვას, შიშს, დათრგუნულად გრძნობდეს თავს. ბულინგის დროს ფსიქოლოგიური ტრავმა შესაძლოა იმ ბავშვებმაც მიიღონ, რომლებიც ძალადობის უშუალო მსხვერპლი არ არიან, მაგრამ არიან ფაქტის შემსწრენი. მათ ეშინიათ თვითონაც არ გახდნენ აგრესიის მსხვერპლნი და მიმართავენ ე.წ „სიჩუმის შეთქმულებას“.

უფროსებს ხშირად უჭირთ ბულინგის იდენტიფიცირება. ვინაიდან ბულინგის განხორციელების ერთ-ერთი ადგილი სკოლაა. მშობლებთან ერთად, მნიშვნელოვანი როლი მასწავლებლებს ეკისრებათ, რომლებიც ბავშვის აგრესიულ ქცევას ხშირად „სასკოლო ოინს“ უწოდებენ და ვერ ითვალისწინებენ იმ შედეგებს, რაც შესაძლოა ბულინგს მოჰყვეს. სკოლაში ფიზიკური ძალადობის გამოვლინებები, ბოლო წლების განმავლობაში, მნიშვნელოვნად შემცირდა, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ აღარ ხორციელდება. პრობლემამ უფრო ფარულ საფეხურზე გადაინაცვლა, რასაც ფსიქოლოგიურ-ემოციური ძალადობა ეწოდება. ბავშვებმა ფიზიკური აგრესია ფსიქოლოგიურით ჩაანაცვლეს. შედეგებით, ფსიქოლოგიური ძალადობა არანაკლები სიმძიმისაა, ვიდრე ფიზიკური. ბულინგის მსხვერლი ბავშვები შესაძლოა ისეთ ტრაგიკულ შედეგამდეც მივიდნენ, როგორიც თვითმკვლელობაა. აგრესორმა ბავშვებმა კი, შეიძლება ცხოვრების აგრესიული სტილი აირჩიონ და კრიმინალურ გზას დაადგნენ. არის შემთხვევები, როდესაც ბულინგის მსხვერპლმა ბავშვმა დაგროვილი აგრესია წლების შემდეგ გამოავლინა და აგრესორზე ცივი იარაღით იძალადა.

ბოლო ათწლეულებში საკმაოდ გავრცელებულია ბულინგის ერთ-ერთი ფორმა – კიბერბულინგი, რაც ინტერნეტით განხორციელებულ ძალადობას ნიშნავს.

ბულინგის პროფილაქტიკა რამდენიმე გზით, ეტაპობრივად, უნდა წარიმართოს. პირველ რიგში, აუცილებელია პრობლემის აღიარება – სკოლამ და მასწავლებელმა უნდა აღიარონ მოვლენის არსებობა. სასურველია, სკოლის თანამშრომლებს შეუერთდნენ ბავშვებიც და მშობლებიც. უნდა დადგინდეს პრობლემის მასშტაბი. აუცილებელია პრობლემის არსის განსაზღვრა – მისი სერიოზულობა, სიხშირე, ხანგრძლივობა, მსხვერპლი/მოძალადის მდგომარეობის დადგენა, გეგმის შემუშავება. ამის შემდეგ მნიშვნელოვანია შემუშავებული გეგმის რეალიზაცია: სკოლაში ძალადობის ნებისმიერი აქტის მიუღებლობა; დაკვირვების განხორციელება სკოლის დერეფანში, ბუფეტში; ფსიქოლოგის მუშაობა მოძალადე ბავშვთან და მსხვერპლთან.

რჩევები პედაგოგებს და მშობლებს:

მაქსიმალურად შეინარჩუნეთ სიმშვიდე და მართეთ სიტუაცია; სერიოზულად მოეკიდეთ ბავშვის მონათხრობს ბულინგის შესახებ; მიიღეთ ზომები რაც შეიძლება სწრაფად; მხარი დაუჭირეთ მსხვერპლს, რათა მან თავი არ იგრძნოს არაადეკვატურად; მოძალადეს აგრძნობინეთ, რომ მისი ქცევა მიუღებელია და არ მოგწონთ, გააგებინეთ, რომ არავითარ შემთხვევაში არ მოითმენთ მის აგრესიულ ქცევას, მიიუხედავად იმისა, ვისზეა ის მიმართული; დააწესეთ კონკრეტული და მკაცრი შეზღუდვები, რომელსაც მიმართავთ ბულინგის განმეორების შემთხვევაში; ასწავლეთ ბავშვებს პრობლემის არაძალადობრივი გზით გადაჭრის ხერხები; აჩვენეთ პოზიტიური ქცევის მაგალითები – თქვენს ქცევაზე დაკვირვებით ბავშვი სხვა ადამიანებისადმი კეთილგანწყობილ დამოკიდებულებას, პატივისცემას ისწავლის. რთულ შემთხვევებში, პრობლემის გადასაჭრელად, მულტიდისციპლინარული გუნდი ჩართეთ.

მნიშვნელოვანია ბულიგნის შესახებ ცნობადობის გაზრდა. მიუხედავად იმისა, რომ ტერმინის შესახებ ზოგადი წარმოდგენა საზოგადოების დიდ ნაწილს აქვს, რეალურად, მისი შინაარსი ცოტამ იცის. ბულინგის საბოლოოდ აღმოფხვრა, თითქმის, შეუძლებელია, თუმცა, საზოგადოების ინფორმირებულობის დონის ზრდა და იმ შედეგების ცოდნა, რაც შესაძლოა „უწყინარ“აგრესიას მოჰყვეს, მინიმუმამდე დაიყვანს ბულინგის აშკარა თუ ფარულ გამოვლენას.

ნათია ტაბიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი

პედაგოგთა დასახმარებლად

სისხლის მიმოქცევის სისტემის შესწავლის გაადვილებული მეთოდი

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების მიზანია აზიაროს მოსწავლე ამ მეცნიერებათა საფუძვლებს, განუვითაროს კვლევის უნარები, რათა შეიცნოს სამყარო და ცხოვრებაში გამოიყენოს ძირითადი ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური კანონზომიერებანი.

ბიოლოგიის, როგორც საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა შორის ერთ-ერთი წამყვანი საგნის, სრულფასოვანი შესწავლა სკოლაში იწყება საბაზო საფეხურზე (VIIIკლ). ამ ასაკში მოსწავლეს სულ უფრო მეტად უვითარდება შემეცნებისათვის საჭირო უნარები, იწყებს შემოქმედებით აზროვნებას, ემპირიული გზით სამყაროს აღქმას, ცდილობს განსაზღვროს მასში ადამიანის ადგილი და მნიშვნელობა.

სწორედ ამ დროს მოსწავლე იწყებს ცოცხალ არსებათა შორის უმაღლეს საფეხურზე მდგომი ურთულესი ორგანიზმის – ადამიანის შესწავლას, რომლის შემადგენელი ორგანოებისა და ორგანოთა სისტემების აგებულებისა და ფუნქციების განხილვისას, შესწავლის სირთულის თვალსაზრისით, ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს სისხლის მიმოქცევის სისტემა მიეკუთვნება. ეროვნული სასწავლო გეგმით მისი შესწავლა საბაზო და საშუალო საფეხურის VIII-X კლასების დონეზე სწავლებით განისაზღვრება (**ბიოლ.VIII.5; VIII.6; X.9.3; X.9.4.**), რომლის არა მხოლოდ თეორიული შესწავლა, არამედ პრაქტიკული გამოყენება – შესაბამისი ორგანოების ილუსტრაციაზე ამოცნობა – საატესტატო და ეროვნული გამოცდით გათვალისწინებული საკითხების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს.

სისხლის მიმოქცევის სისტემის შესწავლისას თავს იჩენს მთელი რიგი პრობლემური საკითხები, რომლებიც მნიშვნელოვნად აფერხებს თემის გააზრებას და ბუნდოვანს ხდის ორგანიზმის ფუნქციონირებისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ორგანოთა სისტემის შესწავლას. სირთულეები განსაკუთრებული სიმძაფრით ვლინდება საბაზო საფეხურზე, რაც მოსწავლეს უკარგავს ინტერესს აღნიშნული საკითხისადმი, უყალიბებს ზედაპირულ წარმოდგენას, რომელიც მნიშვნელოვნად სცილდება სისხლის მიმოქცევის რეალურ სურათს.

რა საკითხებია გაუგებარი მოსწავლისათვის, რომლებიც იპყრობს მასწავლებლის ყურადღებას აღნიშნული თემის განხილვისას?

რატომ არის დამოკიდებული მთლიანად პედაგოგზე და მის მიერ შემუშავებულ მეთოდებზე, ჩაუყრის თუ არა საფუძველს მოსწავლეებში ორგანიზმისათვის ესოდენ მნიშვნელოვანი სისტემის სრულფასოვან ცოდნას?

რა ძალისხმევაა საჭირო მასწავლებლის მხრიდან? როგორ დაგეგმოს გაკვეთილი, რომ მოსწავლემ დაძლიოს მთელი რიგი პრობლემური საკითხები, რომლებიც მასში იწვევს გაუგებრობას, რათა შეძლოს აღნიშნული თემის სრულფასოვნად შესწავლა და გაერკვეს შემდეგ საკითხებში:

- თუ რა პროცესები უზრუნველყოფს სისხლის განუწყვეტელ წრიულ დინებას;
- სად მდებარეობს გულის ავტომატიის ცენტრი, სადაც ნერვული და ენდოკრინული სისტემისაგან დამოუკიდებლად, პერიოდულად, აღმოცენდება აღგზნება;
- შეეძლოს სისხლის მიმოქცევის დიდი და მცირე წრეების ერთმანეთისაგან გარჩევა, იცოდეს სად იწყება და სად მთავრდება ისინი;
- განსაზღვროს სისხლძარღვების – არტერიების და ვენების ცნება და არ გააიგივოს ისინი მათში მოძრავ არტერიულ და ვენურ სისხლთან;
- ესმოდეს, თუ რატომ გამოაქვს გულიდან სისხლი არტერიას და არა ვენას;
- რატომ დგას არტერიაში ვენური, ვენაში არტერიული სისხლი და რომელ სისხლძარღვებში ხდება ეს;
- რომელი სისხლძარღვები ეკუთვნის დიდ და რომელი მცირე წრეს;
- სისხლის მიმოქცევის რომელ წრეში დგას არტერიაში ვენური, ხოლო ვენაში არტერიული სისხლი და რატომ;
- როგორ და რომელი წრის სისხლძარღვებით მარაგდება გულის კუნთი სისხლით და ა.შ.
- განსაზღვროს სისხლის მოძრაობის მიმართულებები და გზები, რათა, საჭიროების შემთხვევაში, შეძლოს არტერიული და ვენური სისხლდენის ამოცნობა, დაშავებულისთვის პირველადი დახმარების აღმოჩენა.

სისხლის მიმოქცევის სისტემის შესწავლა ერთ გაკვეთილზე უკავშირდება წინარე ცოდნას, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს საკითხებს: ადამიანის ოთხსაკნიანი გულის (ილუსტრაციაზე ამოცნობა), მისი განყოფილებების, მასში შემავალი და გამომავალი სისხლძარღვების, სარქველების წყვილების, გულის ციკლის ფაზების, არტერიების, ვენების, კაპილარების აგებულების შესახებ.

მეთოდი, რომელსაც გთავაზობთ უზრუნველყოფს სისხლის მიმოქცევის სისტემის სრულფასოვან შესწავლას, გამორიცხავს ყოველგვარ სირთულეს და გაუგებრობას მოცემულ საკითხთან მიმართებაში. მისი არსი მდგომარეობს შემდეგში:

მოსწავლემ აუცილებლად უნდა იცოდეს, რომ:

- სისხლის განუწყვეტელ წრიულ დინებას უზრუნველყოფს წნევათა სხვადასხვაობა სისხლძარღვთა სისტემის სხვადასხვა უბანზე, სარქველების წყვილები, რომლებიც ერთი მიმართულებით იღება და იხურება და გულის შეკუმშვის ძალა, რომელიც როგორც ტუმბო, ისე მუშაობს და განუწყვეტლივ გადაისვრის სისხლს ძარღვებში;
- გულის ავტომატიის ცენტრი მდებარეობს მარჯვენა წინაგულში (წინაგულსინუსის კვანძი, წინაგულპარკუჭთა კონა, ატრიოვენტრიკულარული კვანძი); სწორედ ამიტომაა, რომ სხეულიდან ამოღებული გული, თუ მასში გავატარებთ ფიზიოლოგიურ ხსნარს, განაგრძობს მუშაობას;
- ადამიანის გული მთლიანი ძგიდით ორ ნახევრად არის გაყოფილი, რომელიც, თავის მხრივ, თითო წინაგულად და თითო პარკუჭად იყოფა;
- გულის მარჯვენა ნახევარში ყოველთვის დგას ვენური და მარცხენა ნახევარში არტერიული სისხლი, რომელიც არასდროს არ ერევა ერთმანეთს, ამიტომ ადამიანის სხეულის ტემპერატურა მუდმივია და არ არის დამოკიდებული გარემოს ტემპერატურაზე;
- არტერიულია სისხლი, რომელიც მდიდარია ჟანგბადით (ალისფერია) და ღარიბია ნახშირორჟანგით; ვენურია სისხლი, რომელიც, პირიქით, მდიდარია ნახშირორჟანგით ღარიბია ჟანგბადით (მუქი წითელია);
- არტერია სისხლძარღვია, რომელსაც სისხლი ყოველთვის გულიდან გამოაქვს, რადგან ვენისაგან განსხვავებით დამატებით უვითარდება ელასტიკური ბოჭკოების სქელი ფენა, რომლითაც უძლებს წნევას და ფართოვდება;
- ვენა სისხლძარღვია, რომელსაც სისხლი ყოველთვის გულისაკენ მიაქვს, სარქველები აქვთ მხოლოდ ქვემოდან ამომავალ ვენებს, რადგან მათში სისხლი სიმძიმის ძალის საპირისპირო მიმართულებით გადაადგილდება;
- სისხლის მიმოქცევის წრეები ყოველთვის იწყება პარკუჭებიდან და გულის მეორე განყოფილების წინაგულებში მთავრდება;
- სისხლის მიმოქცევის დიდი წრე იწყება მარცხენა პარკუჭიდან და მთავრდება მარჯვენა წინაგულში;
- სისხლის მიმოქცევის მცირე – ფილტვის წრე იწყება მარჯვენა პარკუჭიდან და მთავრდება მარცხენა წინაგულში;
- არ არის აუცილებელი, რომ არტერიაში იდგეს არტერიული და ვენაში ყოველთვის ვენური სისხლი. ეს მართლაც ასეა დიდ წრეში, სისხლის მიმოქცევის დიდი წრის არტერიებში მოძრაობს ყოველთვის არტერიული, ხოლო ვენებში – ვენური სისხლი;
- ყველა სისხლძარღვი ეკუთვნის დიდ წრეს, გარდა რვა სისხლძარღვისა, რომლებიც მცირე წრეს ქმნიან. ესენია: ფილტვის ოთხი არტერია და ფილტვის ოთხი ვენა, რომლებშიც სისხლის მიმოქცევის დიდი წრის სისხლძარღვებისგან განსხვავებით ხდება პირიქით, ფილტვის არტერიებში მოძრაობს ვენური, ხოლო ფილტვის ვენებში დგას არტერიული სისხლი;
- კონცენტრაციათა სხვაობის საფუძველზე (დიფუზია) გაზთა (აირთა) ცვლა ხდება ორი მიმართულებით: სისხლის მიმოქცევის დიდ წრეში არტერიული სისხლი – ვენურად, ხოლო მცირეში – ვენური არტერიულად გარდაიქმნება;
- სისხლის მიმოქცევის დიდი წრის სისხლძარღვებში ყოველთვის ისეთი სისხლი გადაადგილდება, რასაც ჰქვია: მაგ; საძილე არტერია – არტერიული; ღვიძლის კარის ვენა – ვენური, თირკმლის არტერია – არტერიული და ა.შ.;
- გულის კუნთი მასში გამავალი სისხლით არ მარაგდება, აორტის რკალიდან (დიდი წრე) გამოდიან კორონალური – გვირგვინოვანი არტერიები, რომლებიც გულის კუნთს კვებავენ;
- რაც უფრო შორდება სისხლძარღვი გულს, მით უფრო ეცემა სისხლის წნევა მასში, სისხლის მოძრაობის სიჩქარე და წნევა მაქსიმალურია აორტაში, წნევა ნულზე დაბალია ზედა და ქვედა ღრუ ვენაში, ხოლო სისხლის დინების სიჩქარე მინიმალურია კაპილარში.

საკითხებს, რომლებიც წარმოდგენილია ძირითადი კონცეფციის სახით, თან დავურთავთ სქემას, რომელშიც თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი სისხლის მოძრაობის მიმართულებები და გზები დიდ და მცირე წრეებში.

სისხლის მიმოქცევის დიდი წრე



სისხლის მიმოქცევის მცირე წრე



გაკვეთილის მიმდინარეობისას მასწავლებელი მოსწავლეებს უხსნის მოცემულ მასალას, რა თქმა უნდა, მისეული მეთოდით და ინტერპრეტაციით, ამასთანავე ყველა იმ უმცირესი დეტალის გათვალისწინებით, რომელიც გამორიცხავს პრობლემებს, ამაღლებს მოტივაციასა და უზრუნველყოფს მათ მაქსიმალურ ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში. აღნიშნული მეთოდი სრულფასოვან შედეგს გვაძლევს მაშინ, თუ საკითხის შესწავლის დროს გამოვიყენებთ ელექტრონულ რესურსებს, რომლებიც ნათლად ასახავს გულის ციკლის ფაზებს, სარქველების მუშაობისა და სისხლის მიმოქცევის წრეებში სისხლის დინების რეალურ სურათს.

ამრიგად, სისხლის მიმოქცევის შესწავლის გაადვილებული მეთოდი დაეხმარება ბიოლოგიის პედაგოგებს მიაწოდონ წარმოდგენილი აუცილებელი მასალა, თავიანთი შეხედულებისამებრ გაამდიდრონ თვალსაჩინოებით, მრავალფეროვანი მასალებით, სათანადო ელექტრონული რესურსებით, რომლებიც ასე მრავლადაა თანამედროვე ინტერნეტსივრცეში, მოარგონ მოსწავლეთა ინტერესებს, გაითვალისწინონ მათი ასაკობრივი თავისებურებანი, რათა ჩაუყარონ საფუძველი, შეუქმნან წინაპირობა, მათ მიერ მიღებული ცოდნის არა მარტო თეორიულ, არამედ პრაქტიკულ გამოყენებას ცხოვრებაში.

ასე რომ, წარმოდგენილი მეთოდი, რომელიც შემუშავებულია ჩემი მრავალწლიანი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის, საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვების, პრობლემური საკითხების გაანალიზების საფუძველზე, თავიდან აგვარიდებს სირთულეებსა და გაუგებრობას, რომლებიც ჩნდება აღნიშნული თემის შესწავლისას; გამოიყენება სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში: საბაზო, საშუალო საფეხურის მოსწავლეების (VIII-X-XI), აბიტურიენტის და საკითხით დაინტერესებული ნებისმიერი პირის მიერ, უზრუნველყოფს სისხლის მიმოქცევის სისტემის საფუძვლიანად შესწავლას, რაც, თავის მხრივ, სისხლდენის დროს დაზარალებულისადმი პირველადი დახმარების გაწევის, საატესტატო და ეროვნული გამოცდით გათვალისწინებული პროგრამის წარმატებით დაძლევის საწინდარია.

ქეთევან კოგიაშვილი
მარტყოფის №1 საჯარო სკოლის წამყვანი მასწავლებელი

პედაგოგთა დასახმარებლად

შორენა გამყრელიძე

დაწყებითი განათლება

რატომ არის კითხვა მნიშვნელოვანი?

მასწავლებლობა რომ რთული საქმეა, ამაზე ბევრს საუბრობენ და ნამდვილად ასეა. თუმცა, ეს რთული საქმე სახალისო ხდება, თუ შენც მოსწავლეებთან ერთად ხარ ჩართული და აკეთებ იმას, რასაც ბავშვები აკეთებენ – კითხულობ, წერ, ერთობი, მღერი, ცეკვავ, ხატავ, ფიქრობ, კითხვებს სვამ, სწავლობ. ეს რომ განხორციელდეს, აუცილებელია ვიცოდეთ, რა აინტერესებთ ჩვენს მოსწავლეებს. ამ კითხვაზე პასუხი მარტივად მოიპოვება. უბრალოდ, ავიღოთ ჩვენი კლასის სია, ვკითხოთ მოსწავლეებს მათი ინტერესების შესახებ, რა ტიპის აქტივობებში სურთ მონაწილეობა უფრო მეტად და მივუწეროთ პასუხები. შემდეგ დავფიქრდეთ, ეს აქტივობები როგორ შეიძლება სასწავლო პროგრამებთან და საგნობრივ სტანდარტებთან დავაკავშიროთ. ამით მოსწავლეთა ინტერესების მიხედვით სასწავლო პროცესის დიფერენცირებასაც შევძლებთ. დიფერენცირება კი ძალიან მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით დაწყებით კლასებში, მაშინ, როდესაც მოსწავლეებს სწავლისადმი დადებითი განწყობა უნდა ჩამოუყალიბდეთ. ამისათვის სწავლა-სწავლების პროცესი სახალისოდ, ფრთხილად, ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით უნდა მიმდინარეობდეს.

თუ მასწავლებელი ახერხებს და კლასში შეაქვს მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისი დავალებები, სასწავლო პროცესი სწრაფად და მარტივად მიმდინარეობს. კლასის მართვის პრობლემა შესამჩნევად მოგვარებულია. ყველა ჩართულია, ჩნდება საინტერესო კითხვები და პასუხების ძიების მოტივაცია მაღალია.

რა არის დიფერენცირებული სწავლება?

ეს რომ კარგად დავინახოთ, შევადაროთ დიფერენცირებული და ტრადიციული საკლასო ოთახი რამდენიმე კრიტერიუმის მიხედვით.

დიფერენცირებული საკლასო ოთახი	ტრადიციული საკლასო ოთახი
მასწავლებელი იყენებს სწავლების მრავალფეროვან სტრატეგიებს.	მასწავლებლის ინსტრუქციები ყველასთვის ერთნაირია.
შეფასება ხდება მიმდინარე პროცესში, ადგენს დონეს და განსაზღვრავს შემდგომ სწავლებას.	შეფასება ხდება თემის დასრულების შემდეგ.
სასწავლო რესურსებად გამოიყენება სხვადასხვა ტიპის მასალები.	ძირითადი სასწავლო რესურსი სახელმძღვანელოა.
საკლასო-საშინაო დავალებები საინტერესოა, ხარისხზეა ორიენტირებული და არ იყენებს მხოლოდ ერთ სახელმძღვანელოს.	საშინაო დავალება ბევრია!
პრობლემის გადაჭრის პროცესში მოსწავლეები იღებენ აქტიურ მონაწილეობას.	მასწავლებელი ასრულებს მთავარ როლს პრობლემის გადაჭრაში.
მოსწავლეები ფასდებიან მრავალნაირი გზით.	მოსწავლეები ფასდებიან ერთი და იმავე საშუალებებით.
მოსწავლეები თანდათან და სწრაფად ხდებიან დამოუკიდებელი.	მოსწავლეები უფრო დიდხანს არიან დამოკიდებული სხვების გადაწყვეტილებებზე.

მეოთხე კლასში აღმოჩნდა, რომ მოსწავლეთა უმრავლესობას აინტერესებდა რა არის ჰაერი. ამიტომ გადავწყვიტე, დაგვეწყო თემის კვლევა. მოსწავლეებთან ერთად ჩამოვაყალიბეთ ძირითადი კითხვები:

1. რა მეტყველებს იმაზე, რომ ჰაერი არსებობს?
2. როგორ იყენებს ჩვენი სხეული ჰაერს?
3. როგორ „ვზომავთ“ ჰაერს?
4. რა შეიძლება „გავაკეთებინოთ“ ჰაერს?

პროექტებზე მუშაობა რამდენიმე კვირა გაგრძელდა. მსვლელობის დროს ვცდილობდით „გამოგვეკვლია“ მატერიალური სამყარო, ბუნებრივი და ადამიანის მიერ შექმნილი საგნები. პირველი შეკითხვა, რომლის პასუხსაც ვეძებდით, იყო – „რა არის ჰაერი?“ მოსწავლეებმა დაიწყეს მსჯელობა. გაჩნდა შეკითხვები:

1. როგორ შეიძლება დავაკვირდეთ ჩვენი სხეულის მიერ ჰაერის გამოყენებას?
2. როგორ მოწმდება ჰაერის არსებობა?
3. როგორ განსხავავდება ჰაერი სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილას?
4. როგორ ვიყენებთ ჰაერს ჩვენ გარშემო?

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად ჩავატარეთ სხვადასხვა აქტივობები:

მოსწავლეები პატარა მილებით უბერავდნენ ჰაერს სხვადასხვა ნივთებს და ცდილობდნენ მათ გადაადგილებას. დავგეგმეთ (დავხატეთ, როგორი უნდა ყოფილიყო) და გავაკეთეთ პარაშუტები. შემდეგ მოვაბით სიმძიმეები და ვნახეთ, რომ ისინი სხვადასხვაგვარად ამოძრავებენ სხვადასხვა ზომის პარაშუტებს.

ჩავატარეთ ცნობილი ცდა – ღია კართან, სკამზე შემდგარი, სანთლით ხელში – თბილი ჰაერი რომ მაღლა მიიწევს, გავაკეთეთ დასკვნა – თბილი ჰაერი უფრო მსუბუქია, ვიდრე ცივი ჰაერი.

ჩვენს კითხვებზე პასუხების მისაღებად წავიკითხეთ ბაკურ სულაკაურის „საბავშვო ენციკლოპედიის“ სტატიები: „ჰაერი და წყალი“, „ჰაერი და ატმოსფერო“, „თბილი ჰაერი“. წაკითხული გავაანალიზეთ წყვილებში და დავიწყეთ ხატვა სათაურით „რამ გამაოცა ყველაზე მეტად?“ ნახატები ძალიან საინტერესო გამოვიდა. რაც მთავარია, ისევ დაისვა კითხვები:

1. რატომ არ არის ჰაერი კოსმოსში?
2. მთვარეზე რომ ჰაერი იყოს, სიცოცხლე თუ იქნებოდა?
3. როგორ სუნთქავს თევზი წყალში?

ჩვენი შემდეგი აქტივობები, რასაკვირველია, ამ კითხვებიდან გამომდინარე დაიგეგმა.

მოსწავლეებმა კვლევის პროცესში ბევრი საინტერესო მასალა მოიძიეს და წაიკითხეს. განხორციელებულმა აქტივობებმა ხელი შეუწყო ისეთი უნარების განვითარებას, როგორიცაა დამოუკიდებელი კითხვა, თავისუფალი წერა, კითხვების ფორმულირება, დახმარებისთვის მიმართვა, დაკვირვების შედეგად დასკვნის ფორმულირება, ურთიერთთანამშრომლობა და სხვ.

მინდა ჩემი მოსაზრება კითხვის უნარის განვითარების შესახებ გაგიზიაროთ. რატომ არის კითხვა მნიშვნელოვანი? რატომ უნდა ვიცოდეთ კითხვა? მრავალთაგან არსებობს მნიშვნელოვანი და ყველაზე მნიშვნელოვანი პასუხები. კითხვა გვაძლევს კომუნიკაციის საშუალებას, კომუნიკაცია კი გვეხმარება მუდმივად ვიყოთ ჩართული მსოფლიო პროგრესში.

რამდენად „გვაჭკვიანებს“ კითხვა?

თუ ჩვენ დავაკვირდებით ბავშვებს, რომლებიც ბევრს კითხულობენ, აღმოვაჩენთ, რომ მათ მეტი სიტყვა იციან, ვიდრე სხვებმა. ისინი უფრო დაკვირვებულები არიან, ამიტომ მეტ რამეს ამჩნევენ, სვამენ კითხვებს და ისმენენ პასუხებს. ჩვენი ლექსიკა გადაჯაჭვულია იმაზე, თუ რა ხდება ჩვენ გარშემო, იმ გარემოში, რომელშიც ვცხოვრობთ. მკითხველი ბავშვები უკეთესად წერენ, მეტი იციან საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებებში. არამკითხველ ბავშვებს კი ელემენტარული პრობლემის გადაჭრა უჭირთ. ამის მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ მათ აქვთ მცირე დიაპაზონის სემანტიკური ველი და ეფექტურად ვერ იყენებენ ენას, ამიტომ ხშირად მოწყენილები არიან.

ზოგადად, ადამიანები რომლებიც ბევრს კითხულობენ, თურმე უკეთ აკეთებენ ფულს!

უფრო ხშირად ხვდებიან პოლიტიკაში და უფრო იშვიათად – ციხეში (☺).

იუნესკოს ერთ-ერთი კვლევის მიხედვით, ადამიანები, რომლებიც ბევრს კითხულობენ, უფრო ჯანმრთელები არიან.

არსებობს საინტერესო მეტაფორული გამონათქვამი: „თუ ვკითხულობთ, მუდმივად სარკმელში ან სარკეში ვიხედებით“, ახსნა ასეთია: ნებისმიერი ეროვნების ადამიანი, თუ თავის მშობლიურ ლიტერატურას კითხულობს, სარკეში იხედება და ფიქრობს „მე მივეკუთვნები აქაურობას, ეს ჩემია, ეს მე ვარ“, ხოლო, თუ იგივე ადამიანი სხვა კულტურის ლიტერატურას კითხულობს, ის სარკმელში იხედება, აღმოაჩენს მსგავსება-განსხვავებებს კულტურებს შორის. ვიცით, რომ სულ სარკეში ყურება არ ვარგა, მაგრამ სულ სარკმელში დგომაც არ არის, მაინცდამაინც, კარგი.

კითხვა სასიამოვნო პროცესი უნდა გახდეს მოსწავლეთათვის, რომ ისინი ნამდვილ მკითხველებად ჩამოყალიბდნენ. ჩვენ უნდა მივცეთ ბავშვებს ისეთი წიგნები, რომლებიც მათ კითხვის სურვილს აღუძრავენ. როგორია ეს წიგნები? ფერადი, ილუსტრირებული, დიალოგებით, სადაც სწრაფად იცვლება მოქმედებები, სადაც წერენ მათი ასაკის პერსონაჟებზე, სადაც სიურპრიზებია. კითხვა უნდა იყოს სახალისო. თავიდან ტექსტები უნდა იყოს მარტივი, მერე შეიძლება ნაბიჯ-ნაბიჯ გართულდეს.

წიგნებთან ურთიერთობა ადრეული ასაკიდან უნდა დაიწყოს. ანბანის სწავლა წიგნებთან ერთად უნდა მოხდეს და ეს არ უნდა იყოს მხოლოდ სახელმძღვანელო. საანბანო პერიოდში, პირველ კლასში, ძალიან ეფექტურია სხვადასხვა ზომის, ფორმის შრიფტების საკითხავად შეტანა, ვიყენებ ხოლმე ჟურნალებს, გაზეთებს, აბრებს და ა.შ. ჩემი აზრით, წიგნების გარეშე ანბანის სწავლის პროცესი დაემსგავსება მანქანის მართვის სწავლას მხოლოდ თეორიულად, მანქანის გარეშე. ან, როგორც პეპი მაღალი წინდა იტყოდა, პიანინოს დაკვრის სწავლას პიანინოს გარეშე. კითხვის სწრაფად სწავლა ნამდვილად ვარჯიშის შედეგია. შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ ერთი ფრაზა მახსენდება მათეს სახარებიდან: მდიდარი მდიდრდება, ღარიბი ღარიბდება. ჩემთვის ასე გავშიფრე: ბავშვები, რომლებიც ვერ კითხულობენ და არ ვარჯიშობენ, ჩამორჩებიან. ხოლო, ბავშვები, რომლებსაც უადვილდებათ კითხვა, ბევრს ვარჯიშობენ და ვითარდებიან, წინ მიდიან.

სწავლის თანმდევი პროცესია შეფასება. გთავაზობთ კითხვის შეფასების კონტინიუმს:

კითხვის კონტინიუმი

დაწყებითი საფეხური
ასაკი: 6-8 წლ.

- კითხულობს ადრეულ საკითხავ მარტივ წიგნებს;
- კითხულობს ადრეულ საკითხავ რთულ წიგნებს;
- კითხულობს და მისდევს მარტივ ინსტრუქციებს დახმარების მეშვეობით;
- შეუძლია საბაზო ჟანრების (მხატვრული, არამხატვრული და პოეზია) იდენტიფიცირება;
- ხმამაღლა კითხვის დროს იცავს სასვენ ნიშნებს;
- კითხულობს დამოუკიდებლად (10-15 წთ);
- დამოუკიდებლად ირჩევს საკითხავ ლიტერატურას;
- სწავლობს წაკითხულს და უზიარებს სხვებს ინფორმაციას;
- იყენებს მინიშნებას მნიშვნელობისთვის (კონტექსტი);
- იყენებს მინიშნებას წინადადებისთვის (გრამატიკა);
- ცნობს ხშირად ხმარებად სიტყვებსა და მარცვლებს;
- იწყებს საკუთარი შეცდომის გასწორებას;
- დახმარებით შეუძლია მოყვეს დასაწყისი, შუა ნაწილი და დასასრული;
- დახმარებით შეუძლია ამბის მოყოლა და პერსონაჟების დახასიათება;
- დახმარებით შეუძლია შეაფასოს საკუთარი კითხვის უნარი.

გაღრმავების საფეხური
ასაკი: 7-9 წლ.

- კითხულობს მარტივ, თავებად დაყოფილ წიგნს;
- დახმარებით ირჩევს, კითხულობს და ამთავრებს შესაბამისი დონის სხვადასხვა სახის საკითხავ მასალას
- იწყებს სწრაფად ხმამაღლა კითხვას;
- იწყებს ჩუმად კითხვას მზარდი ხანგრძლივობით (15-30 წთ.);
- სწორად მიმართავს ტექსტის ტიპისა და კითხვის მიზნის შესაბამის სტრატეგიებს;
- იყენებს სიტყვის სტრუქტურის მინიშნებებს (ფუძე, პრეფიქსი, სუფიქსი) უცნობი სიტყვის კითხვისას;
- ზრდის ლექსიკას მნიშვნელობის მინიშნებების მეშვეობით (კონტექსტი);
- ასწორებს საკუთარ შეცდომებს მნიშვნელობის დასაზუსტებლად;
- მისდევს დაწერილ ინსტრუქციებს;
- შეუძლია სარჩევისა და თავების სათაურების იდენტიფიცირება;
- შეუძლია ამბის მოვლენათა თანმიმდევრულად თხრობა და შეჯამება;
- შეუძლია ლიტერატურული ფაქტების და სიტუაციების დაკავშირება საკუთარ გამოცდილებასთან;
- შეუძლია პერსონაჟებისა და მოვლენების შედარება და დაპირისპირება;
- დახმარებით ხვდება ტექსტის მიღმა დაფარულ შინაარსს;
- დახმარებით შეუძლია განსაზღვროს საკუთარი კითხვის სტრატეგიები და დასახოს მიზნები.

გარდამავალი საფეხური
ასაკი: 8-10 წლ.

- კითხულობს საშუალო საკითხავი დონის, თავებად დაყოფილ წიგნებს;
- ირჩევს შესაფერისი დონის საკითხავ მასალას;
- აფართოვებს ჟანრების ცოდნას (რეალისტური მხატვრული ლიტერატურა, ისტორიული მხატვრული ლიტერატურა, ფანტასტიკა);

პედაგოგთა დასახმარებლად

• ხმამაღლა კითხულობს გამოთქმით;

• დახმარებით იყენებს რესურსებს (ენციკლოპედიებს, CD-ROM-ებს, არამხატვრულ ლიტერატურას ინფორმაციის დასახარისხებლად;

• დახმარებით იყენებს სარჩევს, სათაურს, შენიშვნას, ლექსიკონს და სქოლიოს ინფორმაციის მოსაწესრიგებლად;

• დახმარებით აგროვებს და იყენებს ინფორმაციებს გრაფიკებიდან, ცხრილებიდან, რუკებიდან;

• დახმარებით იმდიდრებს ლექსიკას კითხვის სხვადასხვა სტრატეგიებისა და რესურსების (განმარტებითი ლექსიკონი) გამოყენებით;

• ანსხვავებს ფაქტსა და მოსაზრებას;

• დამოუკიდებლად მისდევს მრავალეტაპიან ინსტრუქციებს;

• დახმარებით მსჯელობს ქარგის, მოქმედების ადგილის, პერსონაჟებისა და ლიტერატურული ელემენტების შესახებ;

• შეუძლია ერთმანეთთან დააკავშიროს ავტორები, წიგნები და თვალსაზრისები;

• მონაწილეობს უფროსის მიერ წარმართულ მცირე ჯგუფურ ლიტერატურულ დისკუსიებში;

• დახმარებით იყენებს მიზეზებსა და მაგალითებს აზრის დასასაბუთებლად.

თავისუფლად ფლოგის საფეხური
ასაკი: 9-11 წლ.

• კითხულობს საბავშვო ლიტერატურას;

• დახმარებით ირჩევს, კითხულობს და ამთავრებს სხვადასხვა ჟანრის წიგნს;

• იწყებს საკითხავი მასალის შერჩევის სტრატეგიებისა და კრიტერიუმების განვითარებას;

• ხმამაღლა კითხულობს სწრაფად, მხატვრულად და დამაჯერებლად;

• ჩუმად კითხულობს მზარდი ხანგრძლივობით (30-40 წთ.);

• იწყებს რესურსების (ენციკლოპედიები, სტატიები, ინტერნეტი და არამხატვრული ტექსტები) გამოყენებას ინფორმაციის დასახარისხებლად;

• ინფორმაციის შესაგროვებლად დამოუკიდებლად მიმართავს სარჩევს, თავების სათაურებს, ლექსიკონს და სქოლიოს;

• იწყებს რესურსების გამოყენებას (განმარტებითი ლექსიკონი) სხვადასხვა სფეროში ლექსიკის გასამდიდრებლად;

• იწყებს მსჯელობას ლიტერატურის შესახებ მოქმედების ადგილის, ქარგის, პერსონაჟებისა და თემის (ლიტერატურული ელემენტები) მოშველიებით და ავტორის ოსტატობის შესახებ;

• დახმარებით ავითარებს ზეპირ და წერით უნარებს უფროსის მიერ წარმართული, მცირე ჯგუფური დისკუსიების მსვლელობისას;

• იწყებს ახალი სიტყვების გამოყენებას სხვადასხვა სფეროზე მსჯელობისას წერითი და ზეპირი მეტყველების დროს;

• უკეთ ხვდება ტექსტის მიღმა დაფარულ შინაარსს;

• იწყებს მიზნების დასახვას და შეუძლია კითხვის სტრატეგიის იდენტიფიცირება კითხვის გასაუმჯობესებლად.

სიმწიფის საფეხური
ასაკი: 10-13 წლ.

• კითხულობს რთულ საბავშვო ლიტერატურას;

• დახმარებით კითხულობს და ესმის საინფორმაციო ტექსტები (განცხადება, ბროშურა, განრიგი, კატალოგი, ინსტრუქცია);

• ავითარებს სტრატეგიებსა და კრიტერიუმებს საკითხავი მასალის დამოუკიდებლად ასარჩევად;

• დამოუკიდებლად იყენებს რესურსებს (ენციკლოპედია, სტატია, ინტერნეტი და არამხატვრული ტექსტი) ინფორმაციის დასახარისხებლად;

• დახმარებით აგროვებს და აანალიზებს ინფორმაციას გრაფიკებიდან, ცხრილებიდან და რუკებიდან;

• დახმარებით აჯამებს ინფორმაციას სხვადასხვა არამხატვრული წყაროდან საკითხის ცოდნისა და გაგების გასაღრმავებლად;

• დამოუკიდებლად იყენებს რესურსებს (განმარტებითი ლექსიკონი) ლექსიკის გასამდიდრებლად;

• შეუძლია მხატვრული ხერხების (შედარება, მეტაფორა, პერსონიფიკაცია, გამოკვეთა) იდენტიფიცირება;

• ლიტერატურის შესახებ მსჯელობისას იშველიებს თემას, ავტორის მიზანს და სტილს (ლიტერატურულ ელემენტებს); იშველიებს ავტორის ოსტატობას;

• იწყებს გაღრმავებული მსჯელობის უნარის განვითარებას მცირე ჯგუფური დისკუსიების დროს;

• იწყებს გაღრმავებული მსჯელობის უნარის განვითარებას წერითი და ზეპირი მეტყველების დროს;

• იშველიებს მიზეზებსა და მაგალითებს დასკვნებისა და მოსაზრებების დასაბუთებისთვის;

• ღრმად სწვდება ტექსტის მიღმა დაფარულ შინაარსს.

თანმიმდევრული საფეხური
ასაკი: 11-14 წლ.

• კითხულობს რთულ საბავშვო და მოზარდთა ლიტერატურას;

• დამოუკიდებლად ირჩევს, კითხულობს და ამთავრებს მრავალფეროვანი ჟანრის ლიტერატურას;

• იწყებს გამომწვევი საკითხავი მასალისა და პროექტების შერჩევას;

• მიმართავს არამხატვრულ ინფორმაციას საკითხის ცოდნის გასაღრმავებლად;

• იწყებს ინფორმაციის შეგროვებას და გაანალიზებას გრაფიკებიდან, ცხრილებიდან, რუკებიდან;

• ავითარებს გაღრმავებული მსჯელობის უნარს მცირე ჯგუფური ლიტერატურული დისკუსიების მსვლელობისას;

• ავითარებს ლიტერატურის გარშემო გაღრმავებული მსჯელობის უნარს წერითი მეტყველების დროს;

• იწყებს წაკითხული მასალის კრიტიკულად შეფასებას, ინტერპრეტირებასა და გაანალიზებას;

• იწყებს კრიტერიუმების შემუშავებას ლიტერატურის შესაფასებლად;

• ეძებს სხვათა რეკომენდაციებსა და თვალსაზრისებს ლიტერატურის შესახებ;

• დამოუკიდებლად ისახავს მიზნებსა და გამოწვევებს.

დამოუკიდეგლოგის საფეხური

• კითხულობს მოზარდთა და ზრდასრულთა ლიტერატურას;

• ირჩევს და იოლად ესმის მრავალფეროვანი, რთული საკითხავი მასალა (გაზეთი, ჟურნალი, ინსტრუქცია, ნოველა, პოეზია);

• კითხულობს და ესმის საინფორმაციო ტექსტები;

• დამოუკიდებლად კითხულობს გამომწვევ საკითხავ მასალას სიამოვნებისთვის;

• დამოუკიდებლად კითხულობს გამომწვევ ლიტერატურას და ჭრის პრობლემებს;

• ამჟღავნებს სიბეჯითეს რთული საკითხავი ამოცანების დროს;

• დამოუკიდებლად აგროვებს და აანალიზებს ინფორმაციას გრაფიკებიდან, ცხრილებიდან, რუკებიდან;

• აანალიზებს მხატვრულ ხერხებს (მეტაფორა, წარმოსახვა, ხატი, ირონია, სატირა);

• რთული ლიტერატურული დისკუსიების დროს გამოთქვამს ორიგინალურ და დასაბუთებულ აზრს;

• გაღრმავებულად მიმართავს ლიტერატურას კავშირების დასამყარებლად სხვა საკითხავთან ან გამოცდილებასთან;

• შეუძლია ლიტერატურული ნაწარმოების კრიტიკულად შეფასება, ინტერპრეტირება, გაანალიზება;

• ავითარებს და ხმამაღლა აყალიბებს კრიტერიუმებს ლიტერატურული ნაწარმოების შესაფასებლად;

• დამოუკიდებლად ეძებს მკითხველთა ფართო საზოგადოებას.

სასკოლო აქტივობა

პროექტი „გარემოს დაცვა და ეკოლოგია“

16 ივნისს, სსიპ ქალაქ თბილისის №72 საჯარო სკოლაში (დირექტორი – **მანანა კიკაჩეიშვილი**), ჩატარდა თბილისის მერიის კონკურსის ფარგლებში გამარჯვებული პროექტის „გარემოს დაცვა და ეკოლოგია“ პრეზენტაცია, რომელიც, ქალაქის მერიისა და სკოლის დირექტორის მხარდაჭერით, განახორციელეს IV^3 კლასის მოსწავლეებმა. იდეის და პროექტის ავტორია კლასის დამრიგებელი **ნინო მიქიაშვილი**.

ჩვენს პლანეტაზე ბუნებაში მიმდინარე მკვეთრმა უარყოფითმა მოვლენებმა ადამიანები სერიოზულად ჩააფიქრა. ატმოსფეროს დაბინძურებამ ცოცხალ ორგანიზმებში სიცოცხლისთვის საშიშ მრავალი სახის დაავადებებს გაუკეთა პროვოცირება, ადამიანის საქმიანობით გამოწვეულმა უარყოფითმა შედეგებმა დაგვაფიქრა იმაზე, რომ აუცილებელია მნიშვნელოვანი ღონისძიებების ჩატარება. პროექტის მიზანიც ეს იყო – მოსწავლეებმა გააცნობიერონ, რამდენად დიდი საფრთხის წინაშე ვდგავართ და იგრძნონ პასუხისმგებლობა ბუნებისა და გარემოს წინაშე.

პროექტი შემეცნებითი ხასიათისაა. მასში შემავალი აქტივობები მოსწავლეებმა დიდი ხალისით და ინტერესით შეასრულეს, ისინი პატარა მეცნიერებად გადაიქცნენ. მოისმინეს მრავალი საინტერესო ინფორმაცია და, ამის საფუძველზე, თვითონვე ჩაატარეს კვლევები. დაათვალიერეს და შეისწავლეს მცენარეთა და ცხოველთა ენდემური საარსებო გარემო, ჩარგეს ხე-მცენარეები, დაამზადეს ჰერბარიუმები, მოაწყვეს ჩანახატებისა და ესეების კონკურსი, შექმნეს პროექტის ლოგო და გაზეთი შესაბამის თემაზე, ნახეს მრავალი სახის მეცნიერული დოკუმენტური ფილმები, მოისმინეს ლექციები ბუნების თემაზე, რითაც კიდევ უფრო მეტად გაითავისეს საშიშროება, რომლის წინაშეც დგას კაცობრიობა.

პროექტმა ბავშვებს შესძინა სხვადასხვა უნარ-ჩვევები: კრეატიულობის, შემეცნებითობის, კვლევა-ძიების, კრიტიკული აზროვნების, ანალიზის და სხვ. პროექტში ჩართული იყვნენ სკოლის თანამშრომლები და მშობლებიც.

პრეზენტაციამ ყველას ინტერესი და აღფრთოვანება გამოიწვია. მოწვეული იყვნენ სტუმრები: ქალაქ თბილისის მერიის პროექტების კოორდინატორი **ანა სარიშვილი**, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე **ზაზა ცინაძე**, განათლების პროგრამების განყოფილების უფროსი **გოგი ჩიქოვანი**, საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი **შალვა კელეპტრიშვილი**, გეოგრაფიის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი **თამარ ხარძიანი**.

სტუმრებმა აღნიშნეს, რომ პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები მეტად პროდუქტიული და ღირებულია ბავშვების ცნობიერების განვითარებისთვის. ყოველივე ამისთვის მადლობას ვუხდით ქალაქის მერიას, სკოლის დირექტორს – მანანა კიკაჩეიშვილს, კლასის დამრიგებელს – ნინო მიქიაშვილს და, რაც მთავარია, მეოთხეკლასელებსა და მათ მშობლებს.

ნანა აბრამიშვილი
დირექტორის მოადგილე

გამოცდილება

მოსწავლეთა მშობლების ჩართულობა სასწავლო პროცესში

თემის დამუშავებას წინ უსწრებდა, მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში, ჩემი სადამრიგებლო კლასის მოსწავლეთა მშობლების სასწავლო პროცესში ჩართულობაზე დაკვირვება, რითაც, სამწუხაროდ, ისინი არ გამოირჩევიან. პირველ რიგში, გადავწყვიტე, გავცნობოდი სამეცნიერო ლიტერატურას, ჩემი კოლეგებისა და სხვათა გამოცდილებას, მათ რჩევებს და ჩემებურად პრაქტიკაში დამენერგა.

21-ე საუკუნისათვის დამახასიათებელმა კომპლექსურობამ და მიმდინარე სოციალურმა ცვლილებებმა დიდი გავლენა იქონია ცხოვრების ყველა ასპექტზე, განსაკუთრებით კი მოსწავლეთა მდგომარეობაზე – ბავშვთა გარკვეული ნაწილი ბებიებთან და ბაბუებთან იზრდება, რადგან მათი მშობლები საზღვარგარეთ არიან სამუშაოდ. ეს კი პირდაპირ აისახება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ხარისხსა და ქცევაზე.

იმისათვის, რომ შედგეს მოსწავლისა და მასწავლებლის პოზიტიური ურთიერთობა და მასწავლებელმა დაიმსახუროს მოსწავლის ნდობა, თითოეულს პიროვნულად უნდა იცნობდეს, იცოდეს მათი საჭიროებები და ინტერესები, სასწავლო, ემოციური და სოციალური პრობლემები. დაინტერესება არ ნიშნავს ზედმეტ ჩაძიებას. მოსწავლეზე ინფორმაციის მოპოვება მასწავლებელს სხვადასხვა გზით შეუძლია. მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მშობლებთან თანამშრომლობაა.

მშობლისა და მასწავლებლის თანამშრომლობითი ურთიერთობა გააუმჯობესებს სწავლების აკადემიურ ხარისხს და ხელს შეუწყობს მოსწავლეთა აკადემიურ წარმატებებს.

მშობლებთან წარმატებული კომუნიკაციის განვითარებას მნიშვნელოვანი ძალისხმევა და ისეთი უნარები სჭირდება, როგორიცაა: ტაქტი, მოსაუბრის პატივისცემა, თავაზიანობა, ენთუზიაზმი და სხვ. სწორად ჩამოყალიბებული კომუნიკაცია მნიშვნელოვანია მშობლისა და მასწავლებლის ურთიერთობაში. იქ, სადაც უკვე არის დადებითი განწყობა და ურთიერთგაგება, შემდეგი მნიშვნელოვანი ელემენტი ნდობის ჩამოყალიბებაა – ურთიერთობის არსებითი ელემენტი. ნდობის ჩამოყალიბება, პირველ რიგში, მუდმივი პროცესია, დინამიკური და, საჭიროების შემთხვევაში, ცვალებადიც.

ამ პროცესში, მასწავლებლებმა არა მხოლოდ უნდა დავინახოთ მოსწავლისა და მშობლის სავალი გზები, არამედ გარკვეული მანძილი მაინც გავიაროთ, რომ დადებით შედეგს მივაღწიოთ – უფრო აქტიურად ჩავაბათ სასკოლო ცხოვრების ფერხულში.

ნდობის მოპოვებასთან ერთად, მშობლისა და მასწავლებლის ურთიერთობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ეფექტური ფორმაა მშობლებთან პირისპირ საუბარი, რადგან ეს საფუძვლად დაედება ერთობლივ მუშაობას საერთო მიზნის მისაღწევად. მშობლებთან შეხვედრის წარმატებულად წარმართვისას მიზანშეწონილად მიმაჩნია რამდენიმე წესის დაცვა:

• უმთავრესია, მშობელმა იგრძნოს, რომ ჩვენ ვემზადებით მასთან შესახვედრად;

• მნიშვნელოვანია, პირველი კონტაქტი უსიამოვნო არ იყოს, ყოველთვის უმჯობესია მშობელი ნეგატიურ სიტუაციას ავარიდოთ;

• მშობლებთან ეფექტური კომუნიკაციის დამყარებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს მათი აზრის გათვალისწინება, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჩვენი შეხედულებისაგან განსხვავდება. ვთქვათ, დიალოგში მშობელს ასე მივმართეთ: „დიახ, მე მესმის თქვენი, რასაც ამბობთ, მაგრამ...“ წინადადების პირველი ნაწილი გამოხატავს, რომ მასწავლებელი ეთანხმება მშობლის აზრს, თუმცა მეორე წინადადების დასაწყისი, სიტყვა „მაგრამ“, იმაზე მიგვანიშნებს, რომ რეალურად არ ეთანხმება და ცდილობს საკუთარი აზრი მოახვიოს მშობელს. საკუთარი გამოცდილებიდან შემიძლია ვთქვა, რომ ამის გამო შეხვედრები, ხშირად, გართულებულა. ჩემი აზრით, მოცემული ფრაზის ალტერნატივა შეიძლება იყოს: „თქვენი მიდგომა გასაგებია და ხომ არ გიფიქრიათ ამგვარ ვერსიაზე...“ აქ ჩანს, რომ ვაღიარებთ მშობლის აზრს, ამ წინადადებაში არ არის სიტყვა „მაგრამ“, რომელიც ბლოკავს დიალოგს და წინადადების ზოგადი ეფექტი სრულიად განსხვავებული გახდა.

თუმცა, არის შემთხვევები, როდესაც ვერ ვახერხებთ, მშობელი ავაცილოთ ნეგატიურ სიტუაციას. ასეთი შემთხვევისთვის სათანადოდ უნდა მოვემზადოთ. მშობლებთან ურთიერთობის ეფექტურად წარმართვაში აუცილებლად დაგვეხმარება რამდენიმე რჩევა, რომელიც ხშირად გამომიყენებია ჩემს პრაქტიკაში და დადებითი შედეგიც მიმიღია.

1. იმისათვის, რომ თითოეული მშობლისთვის შვილის შესახებ კონკრეტული და ობიექტური სათქმელი გვქონდეს, აღვრიცხოთ ყოველი მნიშვნელოვანი შემთხვევა, დადებითიც და უარყოფითიც. კერძოდ:

ა) ყოველი შემაწუხებელი და უჩვეულო ქცევა;

ბ) ნიშნები და გაცდენები;

გ) მოსწავლის მშობელთან კომუნიკაციის შემთხვევები;

2. თუკი განსაკუთრებით რთულ მოსწავლესთან გვიწევს მუშაობა, აღვრიცხოთ ყველა ის მითითება ან რჩევა, რომელიც მასთან დაკავშირებით სკოლის ადმინისტრაციამ მოგვცა;

3. თუ ვიცით, რომ შეხვედრა კონფლიქტურ მშობელთან გვიწევს, სასურველია, მესამე პირი დავისწროთ, მაგალითად, სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელი. ეს ადამიანი წინასწარ უნდა ჩავაყენოთ საქმის კურსში მოსალოდნელი შეხვედრის შესახებ, შევუთანხმდეთ თარიღსა და დროზე, გავარკვიოთ სიტუაციაში – რასთან დაკავშირებით ვხვდებით მშობელს და ვთხოვოთ, ჩამოაყალიბოს სიტუაციის დამოუკიდებელი, ობიექტური ხედვა;

4. ვეცადოთ მშობელს შევხვდეთ თბილად და საუბარი შვილის შესახებ პოზიტიური ინფორმაციით დავიწყოთ;

5. ვაგრძნობინოთ ასერტიულობა (უნარი, გამოვხატო და დავიცვა საკუთარი გრძნობები და უფლებები ისე, რომ არ დავარღვიო სხვების უფლებები), რომ თავს კომფორტულად და თვითდაჯერებულად ვგრძნობთ, ნუ ვაფიქრებინებთ, რომ ის ჩვენს დაშინებას შეძლებს;

6. მოვუსმინოთ ყურადღებით – მივცეთ სიბრაზისა და იმედგაცრუების გამოხატვის საშუალება. ნუ შევაწყვეტინებთ ან შევეკამათებით, უბრალოდ, მოვუსმინოთ. გამოვიყენოთ არავერბალური კომუნიკაცია ემპათიისა და გაგების საჩვენებლად. სანამ პასუხს გავცემთ და ჩვენს აზრს გამოვთქვამთ, დავრწმუნდეთ, რომ პრობლემა მშობლის პოზიციიდან გავიაზრეთ;

7. ვეცადოთ, შევინარჩუნოთ სიმშვიდე და წონასწორობა – არასოდეს წავიდეთ კომპრომისზე ჩვენს პროფესიულ წესიერებასთან. გაბრაზებული სიტყვების საპასუხოდ მშვიდი და გაწონასწორებული რეაქცია ვითარების განმუხტვას შეუწყობს ხელს;

8. მაქსიმალურად ავწონ-დავწონოთ სიტყვები – ჩვენს კომენტარებში მშობლებმა სარკაზმი და მათი უნარების კრიტიკა არ უნდა იგრძნონ. ვეცადოთ, საუბარმა თემას არ გადაუხვიოს და კონცენტრირებული იყოს შეხვედრის საგანსა და მოსწავლის საჭიროებებზე; მივცეთ უკან დახევის საშუალება ისე, რომ თავი „დამარცხებულად“ არ იგრძნოს;

9. მშობელთან ერთად ვიფიქროთ პრობლემის მოგვარებაზე, წავახალისოთ მისი ჩართულობა, ვკითხოთ რჩევა და გამოვთქვათ მოსაზრებები, რომლებიც მოსწავლის ძლიერი მხარეების გამოყენებაზე იქნება ფოკუსირებული;

10. უმჯობესია გავაკეთოთ ჩანაწერები. წერილობით დავაფიქსიროთ შეხვედრის მონაწილეების პოზიციები და ვალდებულებები (რაზე შევთანხმდით და სიტუაციის გაუმჯობესებაში ვის რა როლი დაეკისრა). შეთანხმება და თანამშრომლობისადმი მზაობა ხელმოწერით დავადასტუროთ;

11. და რაც ყველაზე მთავარია: – არავის მივცეთ ჩვენი დაჩაგვრისა და შეურაცხყოფის უფლება – ყოველთვის ვცეთ პატივი მშობელს და მისგანაც საპასუხო პატივისცემა მოვითხოვოთ;

12. არანაკლებ მნიშვნელოვანია მშობლის კრიტიკული შენიშვნების ანალიზი. პედაგოგს უნდა შეეძლოს მშობლის მიერ მისი მისამართით გამოთქმული შენიშვნების მიღება და მისდამი კეთილგანწყობილი დამოკიდებულების შენარჩუნება. თუ ამას ვერ მოახერხებს, ეს შეიძლება გარკვეული უთანხმოების საფუძველი გახდეს.

კონფლიქტი მასწავლებელსა და მოსწავლის მშობელს შორის შეიძლება გამოწვეული იყოს როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური ფაქტორებით, კერძოდ:

1) კომპეტენციის დეფიციტი – გამოიხატება, უპირველეს ყოვლისა, მოსწავლის ინტელექტუალური შესაძლებლობების შესახებ მასწავლებლისა და მშობლის წარმოდგენათა განსხვავებასა და მათ მიერ ამ შესაძლებლობათა რეალიზაციის შეფასებათა არაერთგვაროვნებაში. ამ სფეროში მშობელს, საგნის მასწავლებელთან შედარებით, არასაკმარისი კომპეტენცია აქვს. მას ნაკლებად ესმის სპეციფიკური პედაგოგიკური და მეთოდიკური საკითხები, თუნდაც მრავალკომპონენტიანი შეფასება. როგორი კომფორტული გარემოც უნდა შეიქმნას, მოსწავლე-მასწავლებლის ურთიერთობა გაკვეთილზე, მეტ-ნაკლები, ფსიქოლოგიური დაძაბვის ფონზე მიმდინარეობს, რაც გავლენას ახდენს ცოდნისა და შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენაზე. მშობელს, რომელსაც ბავშვის ცოდნისა და უნარების შემოწმება სხვა ფსიქოლოგიურ ფონზე, განსხვავებულ სიტუაციასა და პირობებში უხდება, ამის გათვალისწინება, რა თქმა უნდა, არ შეუძლია. ეს განსხვავება კი, გაუგებრობისა და ზოგჯერ კონფლიქტის საფუძველს ქმნის. სწორედ ამიტომ, სასურველია, მასწავლებელმა უფრო მჭიდროდ ითანამშრომლოს მშობლებთან, აუხსნას მათ შეფასების ახალი სისტემის არსი, მუდმივად მიაწოდოს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ, მისცეს რჩევები და რეკომენდაციები, როგორ გააუმჯობესოს შედეგები.

მე დაწყებით კლასებში ვასწავლი, სადაც მსგავსი შემთხვევები ძალიან ხშირადაა. პატარებთან დიდი სიფრთხილით მუშაობა გვმართებს. საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე, შემიძლია ვთქვა, რომ ხმის ტონითაც კი, თუკი არასწორად გამოვიყენებთ, მოსწავლეს უჩნდება შიშის გრძნობა და ვეღარ გამოავლენს იმ ცოდნას, რომლის მიღებასაც სახლში მთელი საღამო მოანდომა. ამ შემთხვევაში, მშობელიც, ცხადია, გაურკვეველ სიტუაციაშია და საკუთარი პოზიციიდან აფასებს ყოველივეს. სიფრთხილის მიუხედავად, ეს პრობლემა მაინც არსებობს, ამიტომ მოსწავლეს რვეულში ვუკეთებ ყოველდღიურ ჩანაწერს, თუ როგორ იყო მომზადებული გაკვეთილისათვის, რა შეეშალა, რომელ საკითხში გამოიკვეთა პრობლემა და ვაძლევ რჩევას (როგორც ზეპირად, ისე წერილობით), თუ როგორ დაძლიოს იგი, მშობელსაც ვთხოვ, შეძლებისდაგვარად, დაეხმაროს შვილს.

2) აზრთა სხვადასხვაობა – მშობელსა და პედაგოგს შორის შეიძლება იყოს არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულება, აზრთა სხვადასხვაობა, რასაც ხელს უწყობს კონტაქტის და ინფორმაციის ნაკლებობა. ხშირად მასწავლებლებს ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ მოსწავლეების მშობლებზე, მშობელს კი – თავიანთი შვილების პედაგოგებზე.

სადამრიგებლო კლასში მყავს მოსწავლეები, რომელთა ოჯახებიც სოციალურ ზღვარს ქვემოთ იმყოფებიან. მათი მშობლების ძირითადი საზრუნავია, შინ დაბრუნებულ შვილებს, როგორმე, თბილი სადილი დაახვედრონ. ასეთ შემთხვევაში, პირადად მივდივარ მათთან ოჯახებში, მშობლების გასაცნობად, რომ წარმოდგენა ჰქონდეთ საკუთარი შვილის დამრიგებელზე. გარდა ამისა, ვატარებ არაგეგმიურ მშობელთა კრებებს, სადაც ერთად ვმსჯელობთ მოსწავლეთა პრობლემების გადაჭრაზე და ვგეგმავთ სამომავლო საკითხებს. ხოლო სხვა კლასების მოსწავლეთა მშობლების უკეთ გაცნობის მიზნით, ვიყენებ თვით მოსწავლეს. იმის მიუხედავად, რომ პატარები არიან, ზოგჯერ ისეთ დავალებას ვაძლევ, რომ აუცილებლად სჭირდება მშობლის დახმარება. არის შემთხვევები, როდესაც მშობელი მოდის და ამბობს, რომ ეს დავალება მისი შვილისთვის საკმაოდ რთული ეჩვენება. ვცდილობ ავუხსნა, რომ ჩემი მიზანი იყო მშობელი დახმარებოდა, რათა ისიც ჩართულიყო შვილის სასწავლო პროცესში. ამით ყოველგვარი გაუგებრობა სრულდება.

3) საკუთარი შვილის ქცევათა სისტემის შესახებ არასრული ინფორმაციის ფლობა – ქცევათა სისტემა გულისხმობს სხვადასხვა გამოვლინებასა და მათი მართვის უნარ-ჩვევების ერთობლიობას. მშობლისათვის ცნობილია ბავშვის ქცევის თავისებურებები ოჯახში, პედაგოგისთვის კი – სკოლის ფარგლებში. ასე რომ, როდესაც მასწავლებელი და მშობელი ბავშვს სხვადასხვაგვარად ახასიათებენ, არ არის გამორიცხული, ორივე მხარე მართალი იყოს. ბავშვისადმი სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება და მისი სხვადასხვაგვარი შეფასება, ამ შეფასებისას მშობლისა და მასწავლებლის შეუთანხმებლობა, შესაძლოა, გამოწვეული იყოს იმით, რომ სხვადასხვა გარემო და გარშემომყოფთან სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება ზოგჯერ ავლენს ბავშვის ქცევის მშობლისთვის ან მასწავლებლისთვის უცნობ მხარეებს. ხშირად, მშობლის წარმოდგენა, გნებავთ სტერეოტიპი, შვილის ყოფაქცევის შესახებ, წინააღმდეგობაში მოდის მისი შვილის რომელიმე დისციპლინური დარღვევის შესახებ ინფორმაციასთან. ეს ინვევს მშობლის გაღიზიანებას, რამაც, შესაძლოა, მასწავლებელთან კონფლიქტიც გამოიწვიოს. ამ კონფლიქტის თავიდან აცილება შესაძლებელია, როდესაც მშობელი და მასწავლებელი დარწმუნებული არიან ერთმანეთისთვის მიწოდებული ინფორმაციის სანდოობასა და კონფიდენციალურობაში, რათა ზიანი არ მიადგეს მოსწავლის პიროვნულ ღირსებასა და ავტორიტეტს.

ცხადია, მშობელიცა და მასწავლებელიც, მიუხედავად განსხვავებული ხედვისა, მაინც მოსწავლის წარმატებულ მომავალზე ვართ ორიენტირებული. ხშირად, მშობელს უჭირს იმის გაგება, რომ მისმა შვილმა შეცდომა დაუშვა ან რაღაც „დააშავა“. არიან მშობლები, რომლებიც ხშირად მოდიან და მთხოვენ, დავეხმარო, რომ მათმა შვილებმა სახლში იკითხონ, წერონ, იმეცადინონ და ა.შ. ჩემი პრაქტიკიდან შემიძლია ერთი უბრალო მაგალითი მოვიყვანო. მარიამი, რომელსაც კითხვა არ უყვარდა და, მშობლის განცხადებით, გაკვეთილს ერთხელ ძლივს კითხულობდა სახლში, დავიტოვე სკოლაში გაკვეთილების დასრულების შემდეგ, ძალიან კარგად ვასწავლე გაკვეთილი კითხვითაც და მოყოლითაც. მეორე დღეს, როდესაც ქართულის მასწავლებელმა გაღიმებული სმაილი აჩუქა, გახარებული რვეულს ყველას აჩვენებდა. ამის შემდეგ მარიამმა მიაღწია იმას, რომ ერთ-ერთი კარგი მოსწავლეა კლასში. ვერ გეტყვით, რომ ეს მეთოდი ყველასთან გაამართლებს, მაგრამ მშობლის მხარდაჭერა და გვერდით დგომა, მისი აქტიური მონაწილეობა სასწავლო პროცესში რომ ნამდვილად ამართლებს, ამის თქმა თამამად შემიძლია.

4) დიდი ოდენობით მოვალეობები, რომლებსაც მასწავლებელი და მშობელი ერთმანეთს აკისრებენ – ხშირად მასწავლებლები და მშობლები ერთმანეთს აკისრებენ ბევრ მოვალეობას, გარემოებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინების გარეშე. ამის გამო, მხარეები ვერ ასრულებენ ამ მოვალეობებს, რაც, საბოლოო ჯამში, ინვევს უკმაყოფილებას, გაუგებრობას, წყენას. ამიტომ, აუცილებელია, თავიდანვე მოხდეს პასუხისმგებლობების გადანაწილება შესაძლებლობების მიხედვით, რათა ბავშვის პრობლემების მოგვარებაში ორივე მხარემ მიიღოს მონაწილეობა, რაც მასწავლებლისა და მშობლის მუდმივი კონტაქტით მიიღწევა.

ყოველთვის ვერიდები, მშობელს ისეთი ვალდებულება დავაკისრო, რომლის შესრულებასაც ვერ შეძლებს, თუმცა, ვთხოვ, სისტემატურად გაუწიოს შვილს კონტროლი, რათა წესრიგში ჰქონდეს სასწავლო ნივთები; მუდმივად მიპასუხოს საჭიროების შემთხვევაში განხორციელებულ სატელეფონო ზარზე და, რაც შეიძლება ხშირად, მოაკითხოს შვილს სკოლაში.

5) პედაგოგისა და მშობლის ბავშვისადმი განსხვავებული დამოკიდებულება – სკოლა და ოჯახი სხვადასხვა სოციალურ-ფსიქოლოგიური ჯგუფია, თავისი სპეციფიკური მრავალფეროვანი ფუნქციებითა და დამოკიდებულებებით. პედაგოგსა და მშობელს შორის წინააღმდეგობები იმ შემთხვევაში ძლიერდება, როცა მასწავლებელი ფორმალისტია და თავის მოღვაწეობას ჩვეულებრივ სამსახურად მიიჩნევს, ამიტომ მოსწავლესთან მხოლოდ და მხოლოდ „საქმიან ურთიერთობებს“ ამყარებს. მშობლებსა და ახლობლებს კი სულ სხვაგვარი, ემოციურად შეფერილი დამოკიდებულება აქვთ ბავშვისადმი. მშობლებს უჭირთ მასწავლებლის „მშრალ“ დამოკიდებულებასთან შეგუება. პედაგოგს კი მშობლების ეს პრეტენზიები და განცდები გადაჭარბებულად და უსაფუძვლოდ ეჩვენება. თუ მასწავლებელი ვერ შეძლებს თავის საქმიანობაში მშობლების განცდებისა და შეშფოთების (შვილის ბედის გამო) გათვალისწინებას, შესაძლოა, მხარეებს შორის უკმაყოფილება გაჩნდეს.ზოგიერთ მასწავლებელს უჭირს წარმოიდგინოს თავი მშობლის ადგილზე და გააცნობიეროს, რას განიცდის ის. ამიტომ, ბავშვის უკეთ გაგების, სწავლისა თუ პიროვნული ზრდის ხელშეწყობისათვის,

გამოცდილება

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მშობლისა და მასწავლებლის შეთანხმებული მოქმედება, თანამშრომლობა.

პედაგოგისა და მშობლის ძალისხმევა, უპირველეს ყოვლისა, ბავშვის კეთილდღეობისკენ უნდა იყოს მიმართული. თუ ორივე მხარე დაინტერესებულია მოზარდის ბედით, მისი კარგი მომავალი გარანტირებულია, მაგრამ, თუ ერთ-ერთი უგულოდ და ზერელედ ეკიდება ბავშვის ბედს, განსაკუთრებით მშობელი, დროზე უნდა მივეშველოთ.

ჩემს პრაქტიკაში მქონდა ასეთი არასასიამოვნო ფაქტი: ერთ-ერთ მეხუთეკლასელს საერთოდ არ აქცევდნენ მშობლები ყურადღებას. დედა საზღვარგარეთ მუშაობს, მამა ავადმყოფობს. ბავშვი სკოლაში მოსწავლისთვის შეუფერებლად ჩაცმული, უსუფთაოდ და გაკვეთილებმოუმზადებელი ცხადდებოდა. ვცდილობდი დავხმარებოდი, მაგრამ მარტო ჩემი მცდელობა არასაკმარისი იყო. მისი მდგომარეობა სოციალურ მუშაკს ვაცნობე. ამჟამად ის გოგონა ერთ-ერთ ოჯახში ცხოვრობს, არ აკლებენ მოვლა-პატრონობას და იმედი მაქვს, კარგი მომავალიც ექნება.

მასწავლებლებს უნდა გვახსოვდეს, რომ მოსწავლეები მტკივნეულად განიცდიან კრიტიკას. 6-7 წლის ბავშვებს ძალიან მწვავე რეაქცია აქვთ მასწავლებლის გაკიცხვაზე. მოზარდები მგრძნობიარეები არიან და გადამეტებულად აღიქვამენ უფროსების საყვედურს. განსაკუთრებით იტანჯებიან, როდესაც გაკიცხვას საკუთარი მშობლებისაგან იღებენ. ამიტომ მიმაჩნია, რომ მასწავლებლისა და მშობლის ურთიერთობაში გარკვეული უნდა იყოს მოსწავლის განსჯისა და კრიტიკის ფორმა და დოზა როგორც მასწავლებლის, ისე მშობლის მხრიდან. ბავშვები აუცილებლად უნდა გრძნობდნენ ზრუნვას, მათ მუდმივად სჭირდებათ დარწმუნება, რომ ისინი უყვართ. ჩვენი, როგორც მასწავლებლების მოვალეობაა, მშობელს „ვასწავლოთ“, როგორ მისცეს შვილს შენიშვნა ისე, რომ არ შელახოს მისი პიროვნული ღირსება. მაგალითად: „ნინი, მე ძალიან მომწონს, რომ შენ კარგად სწავლობ ქართულს, კარგი იქნება, მათემატიკის სწავლაც გააუმჯობესო“ ან „მე შენ მომწონხარ, ძალიან კარგად სწავლობ ყველა საგანს, თუმცა, ბევრს ლაპარაკობ და ამით ზიანს აყენებ სხვებს. ეცადე, ეს ქცევა გამოასწორო“ და ა.შ. ასეთი მიდგომა არ ლახავს მოსწავლის პიროვნულ ღირსებას, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მოსწავლე ფიქრობს: „მართალია, ცუდად მოვიქეცი, მაგრამ ჩემს მასწავლებელს მაინც ვუყვარვარ და მოვწონვარ“.

ჩემი გამოცდილებიდან შემიძლია ვთქვა, რომ მასწავლებელს დიდი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია მოსწავლის ამა თუ იმ უნარ-ჩვევის ჩამოყალიბებაზე.

ხშირად ვესაუბრები მოსწავლეებს, როგორც თანატოლებს, ვეუბნები, რომ შრომისმოყვარენი, ინტერესიანი და მოტივირებულნი არიან. ვფიქრობ, ასეთი დამოკიდებულება მათ საკუთარი თავისადმი რწმენას განუვითარებს, ინტერესი გაუჩნდებათ და მომავალში, მართლაც გახდებიან წარმატებულები.

ჩვენი, მასწავლებლების, უპირველესი ამოცანაა „გავაგებინოთ“ მშობელს, რომ მისი მხარდაჭერა საჭიროა და აუცილებელი. მშობელი მოვალეა აკონტროლოს გაკვეთილებზე ბავშვის ყოველდღიური დასწრება. ასევე უნდა იცოდეს, რომ მოსწავლის საგანმანათლებლო პროცესი მხოლოდ მისი სკოლაში ყოფნით არ შემოიფარგლება და საშინაო დავალებებსა თუ სხვა დამატებით აქტივობებსაც მოიცავს, რომელთა წარმატებით განხორციელებაც, უმეტესად, სწორედ მასზეა დამოკიდებული. მშობლებმა შეიძლება აქტიური როლი ითამაშონ საერთო სასკოლო პრობლემის გადაწყვეტაში, ისინი ხომ გაერთიანებული არიან სკოლის სამეურვეო საბჭოში, რომელიც სკოლის თვითმმართველობის უმაღლესი არჩევითი ორგანოა. ყველა სკოლაში მოიძებნება აქტიური მშობელი, მაგრამ სკოლის მიმართ ნაკლებად კეთილგანწყობილი მშობლის ჩართვაც სასკოლო ცხოვრებაში, აუცილებლად შედეგიანი აღმოჩნდება. ყოველივე ეს კი წინაპირობაა იმისა, რომ გაუმჯობესდეს მოსწავლეთა აკადემიური შესაძლებლობები და დამოკიდებულებები, ვინაიდან განათლება არის პროცესი, რომელიც მოიცავს თანამშრომლობას სკოლას, მოსწავლეებსა და მშობლებს შორის.

იმედს ვიტოვებ, რომ თემაში განხილული რამდენიმე რჩევა დაეხმარება ჩემს კოლეგებს, რომ მოსწავლეთა მშობლები აქტიურად ჩართონ სასწავლო პროცესში.

მიმოზა ჩოგოვაძე
სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ქვიტირის საჯარო სკოლის მათემატიკის (I-VI კლასები) უფროსი მასწავლებელი

სასკოლო აქტივობა

დიდი მწერლის სახელს გაფრთხილება უნდა!

სსიპ ოტია იოსელიანის სახელობის ქალაქ წყალტუბოს №1 საჯარო სკოლა (დირექტორი – **ფაქიზო ფანჩულიძე-კუჭავა**, დირექტორის მოადგილე – **დალი სილაგაძე**) დიდი ქართველი მწერლისა და საუკეთესო მამულიშვილის, ოტია იოსელიანის სახელს ატარებს, რაც უდიდესი პატივი და პასუხისმგებლობაა თითოეული ჩვენგანისათვის. შეძლებისდაგვარად ვცდილობთ, ვიყოთ მოწინავენი, ხარისხიანად ვაკეთოთ ჩვენი საქმე, პირნათლად შევასრულოთ დაკისრებული მოვალეობანი – განვუვითაროთ მოსწავლეებს გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევები, მივცეთ საჭირო ცოდნა, დავეხმაროთ ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაში.

16 ივნისი ოტია იოსელიანის დაბადების დღე იყო. დღე, როდესაც პირველსკოლელები მოწიწებით მივეახლეთ მის საფლავს და თითქოს ანგარიში ჩავაბარეთ დიდ მწერალს წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ. აქტივობათა სია კი საკმაოდ ვრცელია: სასკოლო პროექტები, საჩვენებელი გაკვეთილები, სასწავლო-შემოქმედებითი ოლიმპიადები, ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიციები და სხვა მრავალი ღონისძიება, რომელთა ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანდა, თუმცა შეუძლებელია არ გავიხსენოთ ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის მიერ ჩატარებული კვირეული, რომელიც დატვირთული, შინაარსიანი და საინტერესო იყო. განვახორციელეთ პროექტი „ჩვენი რუსთაველი“ (საპროექტო ღონისძიებები: ვსწავლობთ, ვწერთ, ვხატავთ „ვეფხისტყაოსანს“). კვირეულის გახსნის დღე სტუმრების მრავალრიცხოვნებით გამოირჩეოდა – ქალაქის გამგეობის წარმომადგენლები, წყალტუბოს რესურსცენტრის ხელმძღვანელი **მამუკა ჩხეტიანი**, ბაღდათის რესურსცენტრის ხელმძღვანელი **ნინო მშვილდაძე**, პედაგოგები, მშობლები და მოსწავლეები. გაფორმდა მემორანდუმი ბაღდათის მეორე საჯარო სკოლასთან (დირექტორი – **ლალი აბჟანდაძე**). ჩვენი სკოლისა და ბაღდათის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე წაიკითხეს ადგილები „ვეფხისტყაოსნიდან“, შემდეგ კი ბატონ **დაჩი იოსელიანს** ვესტუმრეთ, ყვავილებით შევამკეთ მწერალ ოტია იოსელიანის საფლავი და შემოქმედის სახლ-მუზეუმში მისი ნაწარმოების „მეწინავე“ ანალიზის პრეზენტაცია გავმართეთ. მოსწავლეებმა ისაუბრეს მოთხრობის სიმბოლურ-ალეგორიულ ხასიათზე. შემდეგ ლიტერატურულ სალონ „ოტიაურის“ (ხელმძღვანელი – **ოქროპირ სვანაძე**) წევრებმა წარმოადგინეს მწერლის ნაწარმოებების მიხედვით შექმნილი კომპოზიცია „სიშორით სიახლოვე“, გადავიღეთ სამახსოვრო ფოტოები, გავიხსენეთ შემოქმედის შეგონება: *„ენაა ერის სისხლი, ჯიში და ჯილაგი. წარმომავლობა, რაც ისტორიას დაავიწყდა, ენას ახსოვს. ერები რომ გადაშენდნენ, მათი ენა ცოცხლობს. ენა მკვდარი ერების ძეგლია.“*

და სიამაყე ვიგრძენით, რომ ჩვენი მოკრძალებული წვლილი შეგვაქვს ქართული ენის დაცვა-შენარჩუნების საქმეში.

16 ივნისს, როდესაც სკოლის კოლექტივი, დიდი მწერლის იუბილეს აღსანიშნავად, მისი სახლისკენ გავემართეთ , ბატონი ოტიას სიტყვები გამახსენდა: *„ატეხილია ამ იუბილეზე ერთი ამბავი. მე ვთქვი: რა იუბილე? ქვეყანა იქცევა და შენ იუბილეს იხდი? ზეიმი და იუბილე კარგია მაშინ, კარგ ხასიათზე რომ ხარ და აწყობილი რომ გაქვს ყველაფერი. და ახლა? რა ზნეობით?..“* და გამეღიმა ...წარმოვიდგინე, ეს უაღრესად თავმდაბალი ადამიანი როგორ უხერხულად გრძნობდა თავს, როდესაც მის მიმართ ყურადღებას იჩენდა საზოგადოება და ხოტბას ასხამდა... ახლა თამამად შეგვიძლია გიპასუხოთ, ბატონო ოტია და გულწრფელად გითხრათ, რომ თქვენი დონის შემოქმედის იუბილე ნამდვილად მასშტაბურად უნდა აღინიშნოს ჩვენს ქვეყანაში, რადგან, თქვენივე სიტყვებით რომ ვთქვათ, მხოლოდ *„ერთგული, უღალატო შრომა გამოიღებს ნაყოფს“*. თქვენმა შრომამ კი, უკვე დიდი ხანია, ნაყოფი გამოიღო და ერის სულიერ საზრდოდ იქცა.

დოდო ხაჩიძე
სსიპ ოტია იოსელიანის სახელობის ქალაქ წყალტუბოს №1 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგე

სასკოლო აქტივობა

ასურელი მამების ნაკვალევზე

 შ.პ.ს. „თამარ გარეჯელის სკოლის“ რელიგიის ისტორიისა და კულტურის მასწავლებელმა, **ქეთევან ყორღანაშვილმა**, 31 მაისს, ჩაატარა ღონისძიება თემაზე: „ცამეტი ასურელი მამა და მათ მიერ განვლილი გზა“. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ III-VI კლასების მოსწავლეები. მათ დაწვრილებითი ცნობები შეაგროვეს ცამეტივე ასურელ მამაზე; შეისწავლეს თითოეული მათგანის ღვაწლით მოსილი ცხოვრება. მოსწავლეების მიზანი არ იყო მაყურებლის წინაშე მხოლოდ უსაზღვრო მასალის ცოდნით თავის წარმოჩენა, ეს სრულიად განსხვავებული ღონისძიება იყო. პატარა მონაწილეებს შორის ღვთის მადლი ტრიალებდა და ეს მათი თვალებიდან, გამოეტყველებიდან და ქცევიდან იგრძნობოდა. მათ არა მარტო შეისწავლეს წმინდანების ცხოვრება, არამედ შეიყვარეს, შეიგრძნეს და გაითავისეს.

ღონისძიებას წინ უძღოდა ზედაზნის, წილკნის, სვეტიცხოვლის და ანტიოქიის ტაძრების მოლოცვა. მოსწავლეები კრძალვით შედიოდნენ სალოცავებში, ეხებოდნენ იმ სიწმინდეებს, რომლებსაც ჩვენი ქვეყანა სააუკუნეების მანძილზე გვინახავს. აქამდე წიგნში წაკითხულ და შესწავლილ წმინდანთა მიერ დაარსებული ეკლესია-მონასტრები მათთვის თვალსაჩინო და ხელშესახები გახდა. ისინი განიცდიდნენ უხილავ სიახლოვეს იმ წმინდა მამების მიმართ, რომელთაც, მრავალი ათასი წლის წინ, სწორედ იმ კედლებს შორის მუხლმოდრეკილთ, არაერთი დღე გაუტარებიათ ლოცვა-ვედრებაში. მათ მიერვე გადაღებული ფოტოები და ვიდეოები ღონისძიების დასაწყისში აჩვენეს დიდ ეკრანზე. ღონისძიებას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: საგარეჯოს რესურსცენტრის უფროსი **მანანა ცუცქირიძე** და რესურსცენტრის წარმომადგენელი **ქეთევან ცხადაძე**; ნინოწმინდის დედათა მონასტრის მღვდელმთავარი **მამა ვახტანგ მჭედლიშვილი**, საგარეჯოს წმ. დოდო გარეჯელის ტაძრის დიაკონი **მამა თეიმურაზ ქორიძე**, მეორე სკოლის პედაგოგი **ელზა ლაზაშვილი**, შ.პ.ს „თამარი გარეჯელის“ სკოლის მასწავლებლები და მშობლები.

ღონისძიებამ დიდი მოწონება დაიმსახურა. მამაომ შეაქო და დალოცა მოსწავლეები, რესურსცენტრის ხელმძღვანელმა მადლობა გადაუხადა მოსწავლეებს და ღონისძიების ორგანიზატორს, ქეთევან ყორღანაშვილს, შ.პ.ს. „თამარ გარეჯელის“ სკოლის დირექტორს **თამარ საგინაშვილს**.

თამარ ტაველიშვილი
შ.პ.ს. „თამარ გარეჯელის“ სკოლის პედაგოგი

ნიგნის თარო

მასწავლებლის ბიბლიოთეკა

მასწავლებლის სამუშაო რვეული



მასწავლებლის სამუშაო რვეული პორტფოლიოს განუყოფელი ნაწილია. რვეულის სტრუქტურა საშუალებას აძლევს მასწავლებელს:
1. საჭიროებისამებრ შეავსოს გაკვეთილის დაგეგმვის სქემების მოკლე ან სრული ვარიანტები;
2. გაეცნოს გაკვეთილის დაგეგმვის რეკომენდაციებს;
3. გაეცნოს გაკვეთილის მოკლედ და დეტალურად დაგეგმვის ნიმუშებს.

4 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების კრებული

კრებულში აღწერილია **ინტერაქტიური სწავლების მეთოდები**; მოცემულია თითოეული მეთოდის გამოყენების ეტაპობრივი აღწერა; განხილულია, რა უნარებს ავითარებს თითოეული მეთოდი; დასახელებულია თითოეული მეთოდის გამოყენების წინაპირობა. კრებულში თავმოყრილია 50-მდე მეთოდის აღწერა.

6 ლარი

კათედრის გამგის პორტფოლიო

კათედრის გამგის პორტფოლიო საშუალებას აძლევს კათედრის გამგეს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საქმიანობები. შესავსები სქემების, ცხრილებისა და კათედრის სხდომის ოქმების გარდა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კათედრის ხელმძღვანელს პორტფოლიოს წარმოებაში და მისი საქმიანობის განხორციელებაში.

6 ლარი

მასწავლებლის კალენდარი

2015-2016 სასწავლო წლის კალენდარი ისეა შედგენილი, რომ მასწავლებელს მთელი სასწავლო წლის განმავლობაში შეუძლია **დაგეგმოს და ჩაინიშნოს** მისთვის საჭირო და სასურველი აქტივობები და ინფორმაციები. კალენდარი ყოველკვირეულად აწვდის მასწავლებელს მისთვის მნიშვნელოვან პრაქტიკულ, **პედაგოგიურ რჩევას თუ საჭირო ინფორმაციას**.

კალენდარს ახლავს პირველი და მეორე სემესტრისთვის განკუთვნილი შესავსები გაკვეთილების ცხრილი, მნიშვნელოვანი აქტივობების რეესტრი და თავისუფალი ფურცლები, რაც მოსახერხებელია, რათა მასწავლებელს ყველა საჭირო ინფორმაცია ერთად ჰქონდეს განთავსებული.

5,50 ლარი

შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით:
599880073, 0322958023

მიმდინარეობს ხელმოწერა

შეავსეთ სკოლის ბიბლიოთეკა

ქართველი მწერლების ნაწარმოებებით

ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული)
I-VI ტომი – 11 ლარი
მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული)
I-VII ტომი – 12 ლარი
ედიშერ ყიფიანი (2-ტომეული)
I-II ტომი – 15 ლარი
კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული)
I, VI, VII, VIII, IX, X ტომი – 16 ლარი,
II, IV-V ტომი –18 ლარი
რევაზ ინანიშვილი (6-ტომეული)
I-VI ტომი – 14 ლარი
ვახტანგ ჭელიძე (9-ტომეული)
I-VII ტომი –12 ლარი
გრიგოლ აბაშიძე (6-ტომეული)
I-V ტომი – 12 ლარი
ოტია იოსელიანი (10-ტომეული)
I, III, IV, V, VI, IX, X ტომი – 12 ლარი
თამაზ ჭილაძე (6-ტომეული)
I-VI ტომი – 10 ლარი
გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული)
I-V ტომი – 14 ლარი

მითითებულია თითო ტომის ფასი

წიგნი I
ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II
„ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III
XIX საუკუნის მწერლობა
წიგნი IV
XX საუკუნის მწერლობა

თამარ გელიტაშვილი,
ამირან გომართელი

სავარჯიშო რვეული ქართულ მართლწერაში

10 ლარი

თითოეული კრებულის ფასი – 12 ლარი

საყმაწვილო ენციკლოპედია

თითო ტომის ფასი – 12 ლარი

ავტომობილი
სამურაი
უდაბნო
გამოგონებები
განძის ძიება
გლადიატორები
დრო და კალენდარი
ძველი ეგვიპტე
ევროპა
ვიკინგები
ფიზიკა
ახსნილი და აუხსნელი
ფენომენები
კოშკები და ცათამბჯენები
უძველესი ადამიანები
მათემატიკა
ძველი რომი
ძველი საბერძნეთი



რა არის რა

მთავაზობთ 10 ტომს ენციკლოპედიების სერიიდან „რა არის რა“ სპეციალურ ფასად.

თითო ტომს, 12 ლარის ნაცვლად, 9 ლარად მიიღებს.

ამინდი

არქიტექტურა

კრიმინალისტიკა

ჯანსაღი კვება

მთები

ოლიმპიური თამაშები

მეკობრეები

ქიმია

ხალხთა დიდი გადასახლება

მეცნიერებები

თემატური პლაკატები

დაწყებითი კლასებისთვის

(42X59.4 სმ)

1. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
2. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
3. ფერები
4. გარეული ცხოველები
5. გარეული ფრინველები
6. პროფესიები
7. შინაური ცხოველები და ფრინველები
8. ჰიგიენის ნივთები
9. საოჯახო ნივთები
10. ტრანსპორტი
11. ზღვის ბინადრები
12. ტანსაცმელი
13. ხილი
14. ბოსტნეული
15. ჩემი სხეული
16. ფორმები
17. რიცხვები
18. რის შვილს რა ჰქვია
19. მწერები
20. ამინდი
21. მცენარეები
22. საპირისპირო ცნებები
23. ქალაქში
24. სოფელში
25. სპორტის სახეობები
26. ზღაპრის გმირები
27. ჩემი საქართველო
28. ქართული ანბანი
29. ინგლისური ანბანი
30. რომელი საათია

ფასი – 2.90 ლარი

მაღალი კლასებისთვის

(59.4X84.1 სმ)

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. გარეული ცხოველები საქართველოში
4. მწერები
5. ქვეწარმავლები საქართველოში
6. საქართველოს მცენარეები
7. სამყაროს წარმოშობა
8. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. ზღვის დინებები
11. ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
12. ქართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
13. მსოფლიოს შვიდი საოცრება

ფასი – 4 ლარი

მითითებულია ერთი ცალის ფასი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“,
ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
ყურადღება! ფიზიკურმა პირებმა, თანხის გადმორიცხვისას, მიუთითეთ პირადი ნომერი

მწერალთა პორტრეტები

(34X47 სმ)

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. აკაკი წერეთელი
6. კონსტანტინე გამსახურდია
7. პაოლო იაშვილი
8. სულხან-საბა ორბელიანი
9. პოლიკარპე კაკაბაძე
10. გურამ რჩეულიშვილი
11. დავით გურამიშვილი
12. ბესიკი
13. რევაზ ინანიშვილი
14. თეიმურაზ I
15. ვახტანგ VI
16. გიორგი მერჩულე
17. გრიგოლ ორბელიანი
18. დავით ალმაშენებელი

4 ლარი

რეპროდუქციები

1. ჰორაციუსთა ფიცი, ჟაკ-ლუი დავიდი
2. მწყემსთა თაყვანისცემა, დომენიკო გირლანდაიო
3. ადელ გლოს-ბაუერის პორტრეტი, გუსტავ კლიმტი
4. მენინები, დიეგო ველასკესი
5. დელფოსელი სიბილა, მიქელანჯელო
6. მხატვრის ბაღი, კლოდ მონე
7. უკლები შვილის დაბრუნება, რემბრანდტი
8. საძანელა, ოგიუსტ რენუარი
9. საკვირაო გასერნება გრან ჟატის კუნძულზე, ჟორჟ სიორა

6.5 ლარი

მსოფლიო კლასიკოსები

მკვდარი სახლის ჩანაწერები, თეოდორე დოსტოევსკი
ცოლთა სკოლა, ანდრე ჟიდი
გზა ელიტისკენ, ჯონ გრეინი
რჩეული მოთხრობები, ნიკოლოზ გოგოლი
ტალღებზე მორბენალი, ალექსანდრე გრინი
ტკბობა, გაბრიელე დანუნციო
დედაჩემი, ალბერ კამუი
კავკასია, ალექსანდრე დიუმა
დონ კიხოტის დაბრუნება, გილბერტ კით ჩესტერტონი
დროის ინსტიტუტი, აჰმედ ჰამდი ტანტინარი
ეფი ბრისტი, თეოდორ ფონტანე
ილელი ვენერა, პროსპერ მერიმე
კავკასიური მოთხრობები, ლევ ტოლსტოი
კვარტერონი, მაინ რიდი
ლორდ ჯიმი, ჯოზეფ კონრადი
მადამ ბოვარი, გუსტავ ფლობერი
სპარსული წერილები, შარლ ლუი დე მონტესკიე
მუუთმენლობა გულისა, შტეფან ცვაიგი
მოწყენილობა, ალბერტო მორავია
ორი რომანი, მიგელ დელიბესი
პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი, ვიქტორ ჰიუგო
მოთხრობები, ალექსანდრე პუშკინი
რჩეული მოთხრობები, ჯონ გოლზუორთი
სატანის ელექსირები, ერნსტ ჰოფმანი
საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან, მარგერიტ დიურასი
ძალთა ბედნიერება, ემილ ზოლა
ღამეული გართობა, რაფაელ საბატინი
წითელი და შავი, სტენდალი
ძრელი საბურველი, სომერსეტ მოემი
ჯაშუში, ჯეიმზ კუპერი
ლისტენშტაინი, ვილჰელმ ჰაუფი
ჰუსარი სახურავზე, ჟან ჟიონო

თითოეულის ფასი – 15 ლარი

სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **ალექსანდრე ჯეჯელავამ** და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა **დავით სერგეენკომ** პროფესიული კოლეჯი „მერმისი“ დაათვალიერეს, სტუდენტებს შეხვდნენ და ჟურნალისტებთან იმ ერთობლივი პროექტის მიმდინარეობაზე ისაუბრეს, რომელიც ზრდასრული ადამიანების კვალიფიკაციის ამაღლებით და ახალი პროფესიის დაუფლებით, მათი დასაქმების ხელშეწყობას ითვალისწინებს.

პროფესიული განათლება და კვალიფიკაციის მიღება დღეს ყველა ასაკის ადამიანისთვის ხელმისაწვდომია. საქართველოს მთავრობა სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამას ახორციელებს, რომლის მიზანია სამუშაოს მაძიებელთა მომზადება/გადამზადება, სამუშაო ადგილებზე სტაჟირება, ამით კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ამ გზით, დასაქმების ხელშეწყობა.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით, ჯანდაცვის სამინისტრომ დაამტკიცა 68 პროფესია, რომელიც შედის სამუშაოს მაძიებელთა მომზადება/გადამზადების პროფესიათა ჩამონათვალში. ასევე დაამტკიცა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებებისა და მათ მიერ განხორციელებადი სასწავლო პროგრამების რეესტრი.

ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტო უზრუნველყოფს www.worknet.gov.ge-ზე დარეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებელთა გამოვლენას, რომლებიც მზად არიან ჩაერთონ მომზადება-გადამზადების პროგრამაში. რის შემდეგაც, ბენეფიციარები სხვადასხვა პროფესიებში გადამზადებას გაივლიან.

პროგრამის დაფინანსება ხორციელდება სახელმწიფოს მიერ გაცემული ვაუჩერით, რომლის მაქსიმალური ღირებულება, თითოეულ ბენეფიციარზე, პროფესიის შესაბამისად, 1000 ლარია.

კოლეჯში „მერმისი“, რომელიც ერთ-ერთია პროგრამაში ჩართულ კოლეჯებს შორის. ხორციელდება 34 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, მათ შორის 10 მოდულური პროგრამა: ფეხსაცმლის და ტყავის აქსესუარების სპეციალისტი, ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტი, ბუღალტერ-ტექნიკოსი, ძრავის შემკეთებელი, სამაცივრო მოწყობილობების ტექნიკოსი, სასურსათო პროდუქტების ეკოლოგიური კონტროლის სპეციალისტი, პოლიგრაფიული მრეწველობის ტექნიკოსი, ოფისის მენეჯერი, სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი, მზარეული, მემინანქრე, სტილისტი.

კოლეჯში ყველა პირობაა შექმნილი შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი, სხვადასხვა დარგის, მაღალკვალიფიციური კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებისა და მათი შემდგომი დასაქმებისთვის. ყოველდღიურად იზრდება კოლეჯის თანამშრომლობა კერძო თუ სახელმწიფო სექტორთან. „მერმისს“ გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმი 250-ზე მეტ, მცირე თუ დიდ, კომპანიასთან.

მოვემზადოთ საატესტატო გამოცდებისთვის

კრებულში შესულია პროგრამით გათვალისწინებული თეორიული მასალა და ტესტები. მაღალსფსკი ფენის ქვეშ მოთავსებულია ენიკალური კოდი. ეს კოდი შეიყვანეთ სპეციალურ აპლიკაციაში, რომელიც გათავსებულია გამომცემლობის ოფიციალურ ფეისბუქგვერდზე

fb.com/bakursulakauripublishing

ერთი კოდის გამოყენება შეუძლია მხოლოდ ერთ მომხმარებელს. ელექტრონული ტესტები შეიძლება ჩაბარდეს როგორც თემების მიხედვით, ასევე შერეულად.

კრებულის ფასი – 9.90₾

სერიის ფასი – 17.70₾

ქართული ენის კრებულები

ერთოვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრამატიკის თეორიული კურსი და სავარჯიშოები.

ნამდვილი და მოგონილი ამბები

სერია „ნამდვილი და მოგონილი ამბები“ შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის“ სპეციფიკის გათვალისწინებით.

სერიის ფასი – 30.40₾

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტატელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

ISSN 2233-386X

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

9 772233 386008 >

CMYK